

მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის



შესაძლებლობის შეზღუდვის სტაბუსის განსაზღვრა	სოციალური დაცვა
სოციალური პაკეტი	სოციალური დაცვა
საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა	ჯანდაცვა
სავარძელ-ებლებით უზრუნველყოფა	სოციალური დაცვა
ყვარაჩნებით, ხელაჩნ-ყვარაჩნებით, უსინათლოთა ხელაჩნებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფა	სოციალური დაცვა
საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფა	სოციალური დაცვა
სმენის აპარატებით უზრუნველყოფა	სოციალური დაცვა
ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობა	სოციალური დაცვა



1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია	ჯანდაცვა
ბავშვთა აღრეული განვითარება (0-7 წელი)	სოციალური დაცვა
კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება	სოციალური დაცვა
ინკლუზიური სკოლამდელი განათლება	მუნიციპალური
აუთისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	თბილისის მერია
ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაცია	სოციალური დაცვა
კონსულტაციური იმპლანტით უზრუნველყოფა	სოციალური დაცვა



6-18

კოხლმარული იმპლანტი უზრუნველყოფა	სოციალური დაცვა
კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება	სოციალური დაცვა
დღის ცენტრი	სოციალური დაცვა
მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლა	სოციალური დაცვა
ინკლუზიური ზოგადი განათლება	განათლება
აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	თბილისის მერია
ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაცია	სოციალური დაცვა



18 +

დღის ცენტრი	სოციალური დაცვა
სათემო მომსახურება	სოციალური დაცვა
ინკლუზიური პროფესიული და უმაღლესი განათლება (15 წლიდან)	განათლება
დასაქმების ხელშეწყობა (16 წლიდან)	სოციალური დაცვა
ომის მონაწილეთა რეაბილიტაცია	სოციალური დაცვა

მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.





0+



0-6



6-18



18+



1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია

ჯანდაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ვის უშუალოა მომსახურების მიღება?

1-დან 6 წლამდე ასაკის მსუბუქი და საშუალო ინტელექტუალური და სხვა განვითარების შეფერხების მქონე ბავშვს, რომელიც საქართველოს მოქალაქეა. ამ მომსახურებით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ მშობელს, ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, ან მინდობით აღმზრდელს, თუ ბავშვს ესაჭიროება:

- ✓ განვითარების დარღვევის ან ინტელექტუალური განვითარების შეფერხების შეფასება;
- ✓ განვითარების ერთი, ან რამდენიმე სფეროს (ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, მეტყველების, მეტყველების გაგების, კომუნიკაციის, თვითმომსახურების და სხვა) გამოკვლევები და სიღრმისეული შეფასება;
- ✓ განვითარების ასაკობრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა.

ბავშვის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მშობელს, ასევე შეუძლია მიიღოს სპეციალისტ(ებ)ის კონსულტაციები.

რა შედის მომსახურებაში?

1. ბავშვის განვითარების შეფასება და გამოკვლევები ერთი ან რამდენიმე სპეციალისტის მიერ:

- ✓ ნევროლოგი - ახორციელებს ბავშვის განვითარების პირველად შეფასებას და განსაზღვრავს ჩალრმავებული დიაგნოსტიკის და სხვა სპეციალისტების ჩართვის აუცილებლობას. უწევს მშობელს კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ბავშვის ძილის დარღვევების კვლევას;
- ✓ ნეიროფსიქოლოგი - ახორციელებს დიაგნოსტიკას, რაც მოიცავს ბავშვის ფიზიკური განვითარების (მსხვილი და ნატიფი მოტორიკის), მეტყველებისა და სხვისი მეტყველების გაგების, კომუნიკაციის, შემეცნებითი უნარების, თვითმომსახურების უნარების შეფასებას, ბავშვის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენას,



ბავშვის ფსიქიკური განვითარების ასაკობრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენას;

- ✓ ბავშვთა ფსიქიატრი - ახორციელებს კონსულტირებას ნევროლოგის მიერ განსაზღვრული საჭიროების შემთხვევაში.

2. ელექტრო ენცეფალოგრაფიული კვლევა და ელექტროფიზიოლოგიური მონაცემების დამუშავება (საჭიროების შემთხვევაში).

3. ინდივიდუალური პროგრამის შემუშავება და მშობლის კონსულტირება

ბავშვის განვითარების შეფასებისა და ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის საფუძველზე, მისთვის მუშავდება 3-თვიანი ინდივიდუალური მასტიმულირებელი პროგრამა, რაც მშობელს მიენოდება როგორც სიტყვიერად კონსულტაციის დროს, ისე წერილობითი დასკვნის სახით, სახლში განსახორციელებლად. ინდივიდუალური პროგრამა მოიცავს ბავშვისათვის რეკომენდირებულ განმავითარებელ სავარჯიშოებსა და თამაშებს, რასაც სპეციალისტი გააცნობს და აჩვენებს მშობელს კონსულტაციის დროს.

ინდივიდუალურ პროგრამასთან დაკავშირებული კითხვების და დაზუსტებების არსებობის შემთხვევაში, მშობელს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია სპეციალისტთან განმეორებითი შეხვედრის დროს, მომსახურების მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტი ახდენს ბავშვის განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანას.

რა არის საჭირო მომსახურების მისაღებად?

მომსახურების მიმწოდებელ კლინიკაში ტელეფონით წინასწარი ჩაწერა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:30-დან 18:00 სთ-მდე.



305 არის მომსახურების მიმწოდებელი?

2016 წელს მომსახურების მიმწოდებელია
„გლობალმედის საუნივერსიტეტო კლინიკა“
მისამართი: ყიფშიძის, 3ბ
ტელეფონი: 5 99 55 77 97, 2 24 03 03
(აირჩიეთ განყოფილება – ამბულატორია, ლილაკი N3)

მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**
ცხელი ხაზი: **1505**
ტელეფონი: +995 322 510 011
მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144
ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge
ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (სათაო ოფისი)

ტელ: +995 322 398 946
მისამართი: მ. ასათიანის 9, თბილისი 0186
ელ-ფოსტა: pr.ncdc@ncdc.ge
ვებ. გვერდი: <http://www.ncdc.ge/>



0+



0-6



6-18



18+



შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრა

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ოპენ სოციალური საქართველო

რას არის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრა?

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრა არის თვითმომსახურების, გადაადგილების, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის, სწავლისა და შრომითი უნარების კომპლექსური შეფასება, ანუ სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზა. ამ ექსპერტიზას ატარებენ ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლება.

შეფასების საფუძველზე გაიცემა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დასკვნა, რაც აუცილებელია სოციალური პაკეტის და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო მომსახურების მისაღებად.

ვისთვის ხდება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრა?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთაც უტარდებათ პირველადი ან/და განმეორებითი შეფასება.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს როგორც ბავშვს, ისე ზრდასრულ პირს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოში და რომელსაც აქვს: დაავადების, ტრავმის, ანატომიური, ფსიქიკური ან ინტელექტუალური დარღვევის შედეგად, ორგანიზმის ფუნქციის შეზღუდვა.

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა ტარდება ყველა საჭირო სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიების გავლის შემდეგ. საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, საექსპერტო დასკვნის გამცემ სამედიცინო დაწესებულებას შეუძლია გაუგრძელოს მკურნალობის ვადა პირს, რომელიც დაწესებულებას მიმართავს მისთვის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დასადგენად. ამან შესაძლოა გადაავადოს ექსპერტიზა სტატუსის განსაზღვრის მიზნით.



რას გულისხმობს შესაძლებლობის შეზღუდვა?

შესაძლებლობის შეზღუდვა გულისხმობს ფიზიკურ, ფსიქიკურ, ინტელექტუალურ და სენსორულ (მხედველობა, სმენა) დარღვევებს, რომლებიც იწვევს მსუბუქად, ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატულ დროებით ან სამუდამო შეზღუდვას.

შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზები შეიძლება იყოს:

- ა) საერთო დაავადება;
- ბ) შრომითი დასახიჩრება;
- გ) პროფესიული დაავადება;
- დ) ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვა;
- ე) შესაძლებლობის შეზღუდვა, რომელიც დაკავშირებულია სამხედრო ვალდებულების შესრულებისას მიღებულ ტრავმასთან ან დაავადებასთან;
- ვ) შესაძლებლობის შეზღუდვა, რომელიც დაკავშირებულია ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურისა და სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების სხვა ბირთვული ობიექტების ავარიასთან;
- ზ) სხვა მიზეზებით გამონვეული შესაძლებლობის შეზღუდვა.

! **შენიშვნა:** შრომითი დასახიჩრება, პროფესიული დაავადება ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანება შრომით დასახიჩრებად ჩაითვლება, თუ ის მოხდა სანარმოს, დანესებულების, ორგანიზაციის ტერიტორიაზე, ან მის ფარგლებს გარეთ, შრომითი მოვალეობის შესრულებისას, აგრეთვე დამსაქმებლის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით სამუშაო ადგილზე წასვლის, ან სამუშაოდან წამოსვლის შემთხვევაში.

როგორ განისაზღვრება სტატუსი?

ექსპერტიზა (სტატუსის განსაზღვრა) მოიცავს საჭირო არაძვირადღირებულ გამოკვლევებს და კომპლექსურ შეფასებას, რომლის ფარგლებში ხდება:

- შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის პირველად დადგენა, ან გადაფასება;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გადამონმების ვადების დადგენა;
- შეფასების პროცესში ამბულატორიული, ან სტაციონარული მომსახურება (საჭიროების შემთხვევაში);
- შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზის დადგენა;
- დასაქმებულის პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის განსაზღვრა, შრომითი დასახიჩრების შემთხვევაში;
- შრომის დასაშვები, რეკომენდირებული, ასევე წინააღმდეგ ნაჩვენები პირობების განსაზღვრა, რომლებიც დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს, დასაქმებულისათვის სპეციალური შრომის პირობების შესაქმნელად;
- ექსპერტიზის ჩასატარებლად აუცილებელი საბუთების მოძიებაში დახმარების აღმოჩენა;
- სამხედრო ვალდებულისა და წვევამდელის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად ცნობის შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი სამხედრო კომისარიატისათვის;
- შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის შესახებ დასკვნის მომზადება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ან მის წარმომადგენელს გადაეცემა ხელზე.

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრისათვის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა ტარდება სახელმწიფოს სრული დაფინანსებით.



როგორ ხდება დაფინანსება?

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“ (ე.წ. საყოველთაო დაზღვევა) ითვალისწინებს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, როგორც გამოკვლევებს, ისე ამბულატორიულ მომსახურებას, გარდა ძვირადღირებული მაგნიტურ-ბირთვულ-რეზონანსული გამოკვლევებისა. იხილეთ ბროშურა „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა“.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის მიზნით სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის მომსახურებას პირი მიიღებს უფასოდ, თუკი საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლედ რეგისტრირებულია, დარეგისტრირდება, ან გადარეგისტრირდება იმ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელსაც აქვს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების უფლებამოსილება.

პირი, რომელიც საყოველთაო დაზღვევის მოსარგებლედ რეგისტრირებულია იმ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელსაც არ აქვს სამედიცინო სოციალური-ექსპერტიზის ჩატარების უფლებამოსილება, შეუძლია გადარეგისტრირების გარეშეც მიიღოს მომსახურება ნებისმიერ უფლებამოსილ დაწესებულებაში, თუმცა ამ შემთხვევაში მომსახურება ფასიანია.

რა ნაბიჯების გავლაა საჭირო სტატუსის მისაღებად?

ნაბიჯი 1. სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვა

მომსახურების მიმწოდებელ ნებისმიერ მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულებაში ინდივიდუალური მიმართვა. მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ თანდართულ რუკაზე.

! **შენიშვნა:** თუ პირს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია გამოცხადდეს დაწესებულებაში, ექსპერტიზა ხდება საავადმყოფოში (სტაციონარში), ან მის საცხოვრებელ ადგილას. გამონაკლის შემთხვევაში, (შორეულ და ძნელად მისადგომ ადგილებში) ექსპერტიზა ტარდება პირის დაუსწრებლად, მისი

ან მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, მშვილებელი, მეურვე, მზრუნველი, ნდობით აღჭურვილი პირი) თანხმობით.

ნაბიჯი 2. დოკუმენტაციის წარდგენა

- პირადობის მოწმობა, ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

დამატებით:

- დასაქმებულის შემთხვევაში, ცნობა სამუშაო ადგილიდან, სამუშაოს ხასიათისა და პირობების მითითებით.
- შრომითი დასახიჩრების შემთხვევაში, დამსაქმებლის ადმინისტრაციის, ან პროფესიული კავშირის მიმართვა, ან სასამართლოს მიმართვა, ან უბედური შემთხვევის აქტი, ან სხვა დოკუმენტი შრომითი დასახიჩრებით მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ.
- პროფესიული დაავადების შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულების დასკვნა.

! **შენიშვნა:** რეკომენდირებულია, მდგომარეობასთან დაკავშირებული სამედიცინო გამოკვლევების ყველა ხელთ არსებული დოკუმენტის წარდგენა, რომელიც დაეხმარება დაწესებულებას სამედიცინო, თუ ფუნქციური მდგომარეობის შეფასების პროცესში.

ნაბიჯი 3: კომპლექსური შეფასება

შეფასების პროცესი მოიცავს ანამნეზის (ჯანმრთელობის მდგომარეობის ისტორიის) შეკრებას, პირის გასინჯვას და საჭირო დოკუმენტების შესწავლა-გაანალიზებას, რასაც სხვადასხვა ექიმ-სპეციალისტი ახორციელებს.

შესაბამისად, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭება/გადამოწმებისთვის საჭირო დიაგნოზის დასადგენად ხშირ შემთხვევაში აუცილებელია:



1. ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია;
2. ინსტრუმენტული გამოკვლევები;
3. ლაბორატორიული გამოკვლევები.

დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, შესაძლოა, პირი გადაამისამართონ სხვა სამედიცინო დაწესებულებაში, დამატებითი გამოკვლევებისათვის.

ნაბიჯი 4: დასკვნის გაცემა

თუ ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე, განისაზღვრება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი, დასკვნა/ცნობა პირს ან მის კანონიერ წარმომადგენელს გადაცემა ხელზე.

სტატუსის დასკვნაში აღინიშნება შესაძლებლობის შეზღუდვის შესაბამისი კატეგორია:

- 3 წლიდან 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემთხვევაში - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი.
- 18 წლის ზემოთ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულის შემთხვევაში, ჩამოთვლილი სამი კატეგორიიდან ერთ-ერთი, დროებით ან სამუდამოდ:
 - მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
 - მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
 - ზომიერად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

! **შენიშვნა:** ინფორმაცია თითოეული კატეგორიის შესაბამისი სოციალური პაკეტის შესახებ იხილეთ ბროშურა „სოციალური პაკეტი“.

დაავადებების და მდგომარეობების ნუსხა/ჩამონათვალი, რომელთა საფუძველზეც გაიცემა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი თითოეული კატეგორიისთვის, წარმოდგენილია შემდეგ დოკუმენტებში:

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 17 მარტის ბრძანება №62/ნ, „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“ დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №1/ნ, 2003 წლის 13 იანვარი, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

მდგომარეობიდან გამომდინარე, პირს სტატუსი შეიძლება დაუდგინდეს დროებით (გადამონმების ვადით) ან სამუდამოდ (უვადოდ).

ბავშვის შემთხვევაში, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი შეიძლება დადგინდეს: 2 წლით, 5 წლით ან ერთჯერადად 18 წლის ასაკამდე მიღწევის ვადით.

ზრდასრულის შემთხვევაში, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი შეიძლება დადგინდეს: 6 თვით, 1 წლით, 2 წლით ან უვადოდ. ზოგიერთ შემთხვევაში, სტატუსის უვადოდ დადგენისათვის აუცილებელია 5 წლის დაკვირვება.

ნაბიჯი 5. სტატუსის გადაფასება

თუ სტატუსი დროებითია, აუცილებელია სამედიცინო დაწესებულებაში გამოცხადება გადაფასების მიზნით. გადაფასების ვადები მითითებულია დადგენილი სტატუსის შესახებ დასკვნაში.

ზოგიერთ შემთხვევაში, გადაფასება ხდება ვადაზე ადრეც, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მდგომარეობის დამძიმების შემთხვევაში.



სად არის შენსაძლეაობელი შენსაძლეალობის შენსაძლეალობის სტატუსის განსაზღვრა?

შენსაძლეაობის სტატუსის განსაზღვრა შენსაძლეაობელი სამედიცინო დაწესებულებებში, რომელთაც წინასწარ განსაზღვრული წესით ენიჭებათ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების უფლება.


საქართველოში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულია 68 დაწესებულება, აქედან 18 მონოპროფილური (იხილეთ თანდართული რუკა „სამედიცინო დაწესებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების უფლება“). დაწესებულებების სია ასევე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<http://rama.moh.gov.ge/index.php?page=81&lang=geo>

პირს, მშობელს, ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, ან მინდობით აღმზრდელს შეუძლია შეარჩიოს ნებისმიერი მრავალპროფილური დაწესებულება და მიმართოს მას მომსახურების მისაღებად.



**სამედიცინო დანსაბულებები
(მონოკროფილური და მრავალკროფილური)
მინიჭებული აქვთ სამედიცინო-სოციალური
ექსპერტიზის ჩატარების უფლება
(2016 წლის მონაცემებით)**



📍 თბილისი

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
მარუაშვილის ქ., 50

შპს „მედიწვესტი - ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტი“
ქავთარაძის ქ., 21ა

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
ქავთარაძის ქ., 21ა

შპს „ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი „ნნი“
ვაჟა ფშაველას გამზ., 83/11

ააიპ „დიაბეტის, ენდოკრინული და გულ-ფილტვის დაავადებების ცენტრი“
ჩაჩავას ქ., 1

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“
ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია N4

შპს „აკად. ვ. ნიოლანაძის სახ. რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“
უზნაძის ქ., 51

შპს „მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო“
ლუბლიანას ქ., 2/6



📍 თბილისი

შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი- მზერა“
ნინანდლის ქ., 9

შპს „აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი“
თ. მღვდლის ქ., 13

შპს „მედკაპიტალი“

ა) შპს „მედკაპიტალი“ - საბურთალო
გამრეკელის ქ., 19

ბ) შპს „მედკაპიტალი“ - დიდუბე
წერეთლის გამზ., 138

გ) შპს „მედკაპიტალი“ - გლდანი
გამარჯვების ქ., 1

დ) შპს „მედკაპიტალი“ - სამგორი
მოსკოვის გამზ. მე-4 კვარტ, კორპ. 3

შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“
ვაჟა ფშაველას გამზ., 29

სსიპ „საქართველოს შს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის პოლიკლინიკა“
ვაჟა ფშაველას გამზ., 72

შპს „თბილისის N4 საოჯახო მედიცინის ცენტრი“
ვაზისუბანი, მე-4 მ/კ, 1 კვარტ

შპს „ქ. თბილისის N19 მოზრდილთა პოლიკლინიკა“
მოსკოვის გამზ., 23

შპს „საგზაო პოლიკლინიკა + საოჯახო მედიცინის ცენტრი დიდუბე“
თ. მღვდლის ქ., 11

შპს „ოჯახის მკურნალი“
ხეთაგუროვის ქ., 6

სს „ვერე XXI“
ლ. ქიაჩელიძის ქ., 18

შპს „მედიკომი“
რ. ლალიძის ქ., 8

შპს „კლინიკა უნიმედი“
რუსთავეის გზატკ., 28

შპს „კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტი“
ლუბლიანას ქ., 5

შპს „ქ. თბილისის N14 შერეული პოლიკლინიკა“
ვაშლიჯვარი, კორპ. 14ბ

შპს „ქ. თბილისის N30 შერეული პოლიკლინიკა - საოჯახო მედიცინის სასწავლო - კლინიკური ცენტრი“
ნაქალაქევის ქ., 3

შპს „ნიუ ჰოსპიტალს“
თბილისი, კრწანისის ქ., 12

ქვემო ქართლი

სს „რუსთავის N2
სამკურნალო-დიაგნოსტიკური
ცენტრი“

რუსთავი, მესხიშვილის ქ., 1ა

შპს „ახალი სამედიცინო
ცენტრი“- ბოლნისი

ბოლნისი, აღმაშენებლის ქ., 25

შპს „ჯეო ჰოსპიტალს“

გარდაბნის

მრავალპროფილური

სამედიცინო ცენტრი“

გარდაბანი, ლესელიძის ქ. N1

შპს „ჯეო ჰოსპიტალს“

მარნეულის სამშობიარო

და ამბულატორიული

სამედიცინო ცენტრი

მარნეული, რუსთაველის ქ. N 112

შიდა ქართლი

შპს „გორმედი“

გორი, ცხინვალის გზატკ., 14

კახეთი

თელავი შპს „ბავშვთა
ჯანმრთელობის ცენტრი“

თელავი, ალადაშვილის ქ., 2

შპს „თელავის

ფსიქონევროლოგიური

დისპანსერი“

თელავი, რუსთაველის ქ., 11

შპს „უნიმედი კახეთი“

თელავის ამბულატორიული

ცენტრი

თელავი, გ. არსენიშვილი ქ., 15

შპს „ჯეო ჰოსპიტალს“

გურჯაანის

მრავალპროფილური

სამედიცინო ცენტრი

გურჯაანი, მარჯანიშვილის ქ., 35

შპს „რეგიონული ჯანდაცვის

ცენტრი“ - დედოფლისწყარო

დედოფლისწყარო, ჰერეთის ქ., 22

შპს „ჯეო ჰოსპიტალს“

საგარეჯოს

მრავალპროფილური

სამედიცინო ცენტრი

საგარეჯო, კახეთის გზატკ., 13



📍 იმერეთი

შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“
ქუთაისი, ჩხოზაძის ქ., 20

შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
ზონის რ-ნი, სოფ. ქუტირი

შპს „კლინიკა ლჯ“
ქუთაისი, ჩეჩელაშვილის ქ., ნა

შპს „აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი“
ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ., 83ა

შპს „ქუთაისის N1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“
ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქ., 23

სს „ნმინდა ნიკოლოზის სახელობის ქირურგიული და ონკოლოგიური ცენტრი“
ქუთაისი, პ. იაშვილის ქ., 9

შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახ. საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი“
ქუთაისი, თამარ მეფის ქ., 5/7

შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ ზესტაფონის ამბულატორიული ცენტრი
ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. 1-ლი შესახვ., 1

სს „საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება“
საჩხერე, ი.გომართელის ქ., 17

შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ სამტრედიის ამბულატორიული ცენტრი
სამტრედია, ჭანტურიას ქ., 2

📍 სამეგრელო - ზემო-სვანეთი

შპს „სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“
სენაკი, ფურცელაძის ქ., 8

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“
ფოთი, გამსახურდიას ქ., 6

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“
აბაშა, თავისუფლების ქ., 143

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“
მარტვილი, მშვიდობის ქ., 111

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“
ზუგდიდი, გამსახურდიას ქ., 206

შპს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება“
მესტია, გაბლიანის ქ., 13

📍 სამეგრელო - ზემო-სვანეთი

ქ. ფოთი შპს „ბავშვთა
პოლიკლინიკა“
ფოთი, წმ. გიორგის ქ., 25

📍 გურია

ლანჩხუთის
ფსიქონევროლოგიური
დისპანსერი შპს „ნევრონი“
ლანჩხუთი, ჭანტურიას ქ., 21

შპს „რეგიონული ჯანდაცვის
ცენტრი“ - ლანჩხუთი
ლანჩხუთი, ჭანტურიას ქ., 21

შპს „მედალფა“ - ოზურგეთის
სამედიცინო ცენტრი
ოზურგეთი, ნინოშვილის ქ., 3

📍 რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

შპს „რეგიონული ჯანდაცვის
ცენტრი“ - ცაგერი
ცაგერი, რუსთაველის ქ., 31

შპს „რეგიონული ჯანდაცვის
ცენტრი“ - ამბროლაური
ამბროლაური,
ბრატისლავა-რაჭის ქ., 11

📍 სამცხე-ჯავახეთი

შპს „უნიმედი სამცხე“ -
ახალქალაქის სამედიცინო
ცენტრი
ახალქალაქი,
ალმაშენებლის ქ., 31

შპს „უნიმედი სამცხე“ -
ახალციხის სამედიცინო
ცენტრი
ახალციხე,
რუსთაველის ქ., 105ა

შპს „ახალციხის კლინიკა
„იმედი“
ახალციხე, ახალქალაქის
გზატკეცილი, ჩიხი 3

შპს „ჯეო ჰოსპიტალს“
ბორჯომის
მრავალპროფილური
სამედიცინო ცენტრი
ბორჯომი, სააკაძის ქ., 3



აჭარა

აჭარის ა/რ შპს
„რესპუბლიკური კლინიკური
ფსიქონევროლოგიური
საავადმყოფო“
ბათუმი, კახაბრის ქ., 36

შპს „აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის ონკოლოგიის
ცენტრი“
ბათუმი, პუშკინის ქ., 118

სს „მეზღვაურთა სამედიცინო
ცენტრი 2010“
ბათუმი, ტაბიძის ქ., 2ა


შპს „ქ. ბათუმის N1
პოლიკლინიკა“
ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ., 2

შპს „უნიმედი აჭარა“ -
ქობულეთის სამედიცინო
ცენტრი
ქობულეთი, აბაშიძის ქ., 18

შპს „უნიმედი აჭარა“ -
შუახვევის სამედიცინო
ცენტრი
შუახვევი, რუსთაველის ქ., 32

მცხეთა-მთიანეთი

შპს „მცხეთის პირველადი
ჯანდაცვის ცენტრი-
ჯანმრთელი თაობა“
მცხეთა, კოსტავას ქ., 28



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები

და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:

<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



სოციალური პაკეტი

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



რა არის სოციალური პაკეტი?

სოციალური პაკეტი არის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ოდენობით და წესით.

ვის ეკუთვნის სოციალური პაკეტი შესაძლებლობის შეზღუდვის გამო?

სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა წრეში შედიან შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მქონე:

- ✓ საქართველოს მოქალაქეები;
- ✓ საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირები;
- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც აქვთ მუდმივი ბინადრობის მოწმობა საქართველოში.

რა პირობებსა და დაფინანსების ოდენობას მოიცავს სოციალური პაკეტი?

- ა) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შემთხვევაში, სოციალური პაკეტი ინიშნება 180 ლარის ოდენობით.
- ბ) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შემთხვევაში, სოციალური პაკეტი ინიშნება 100 ლარის ოდენობით.
- გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსის შემთხვევაში, სოციალური პაკეტი ინიშნება 180 ლარის ოდენობით.
- დ) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის

სტატუსი ენიშნებათ სოციალური პაკეტი 100 ლარის ოდენობით.

! **შენიშვნა:** შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ზემოთ აღნიშნულ 4 კატეგორიაში განსაზღვრულია სხვადასხვა კონკრეტული პირობები, რაც განაპირობებს განსხვავებულ ფულად ოდენობას. სხვა კონკრეტული პირობების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ: საქართველოს მთავრობის დადგენილება №279, სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ (2012 წელი, 23 ივლისი).

რა ნაბიჯების გავლაა საჭირო სოციალური პაკეტის მისაღებად?

ნაბიჯი 1: შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მიღება

იხ. ბროშურა „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრა“.

ნაბიჯი 2: განაცხადის და დოკუმენტების წარდგენა

- ✓ საჭიროა, სოციალური პაკეტის დანიშვნის თაობაზე, განაცხადის მომზადება სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელზე. განაცხადების წარდგენა შესაძლებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერი ტერიტორიულ ერთეულში (სია იხ. ქვემოთ);
- ✓ განაცხადებას თან უნდა ერთვოდეს, შესაბამისი სამედიცინო დანესებულების მიერ გაცემული, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის შესახებ;
- ✓ ასევე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ ბავშვის შემთხვევაში - დაბადების მოწმობა და მშობლის, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის, ან მინდობითი აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- ✓ ქმედუნარო პირის/მხარდაჭერის მიმღები პირის შემთხვევაში – მშობლის ან მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ საქართველოში კანონიერად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - საინფორმაციო ბარათი, რომლითაც დასტურდება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო 10 წლის განმავლობაში კანონიერად ცხოვრება და ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება. საინფორმაციო ბარათს გასცემს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება;
- ✓ საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება, საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის შესახებ;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა, რომელსაც სხვა პირობებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება №279) ეკუთვნის სოციალური პაკეტის დანიშვნა და შესაბამისი ფულადი უზრუნველყოფა, დამატებით უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტი:

- ✓ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალური პაკეტის დანიშვნის შემთხვევაში -მარჩენალის გარდაცვალების მოწმობა (18 წლამდე ასაკის პირებისათვის);
- ✓ ომში ან ომის შემდგომ პერიოდში ომის მონაწილის გარდაცვალების გამო, მისი მშობლისათვის, მეუღლისათვის, შვილისათვის სოციალური პაკეტის დანიშვნის შემთხვევაში, მარჩენალის გარდაცვალების მოწმობა, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ვეტერანის

სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდაცვლილი პირის დაბადების მონმობა (მშობლის შემთხვევაში), ქორწინების მონმობა (მეუღლის შემთხვევაში), დაბადების მონმობა (შვილის შემთხვევაში);

- ✓ ომის მონანილის შემთხვევაში, ვეტერანების საქმეთა სამსახურის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ ომის ინვალიდის შემთხვევაში, ვეტერანების საქმეთა სამსახურის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი სამედიცინო დანესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა/ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზობრივი კავშირი ომთან;
- ✓ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების გამო სოციალური პაკეტის დანიშვნის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ;
- ✓ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების გამო მისი მშობლისათვის, მეუღლისათვის, შვილისათვის სოციალური პაკეტის დანიშვნის შემთხვევაში, გარდაცვალების მონმობა, სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვლილი პირის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ, გარდაცვლილი პირის დაბადების მონმობა (მშობლის შემთხვევაში), ქორწინების მონმობა (მეუღლის შემთხვევაში), დაბადების მონმობა ან სასამართლო გადაწყვეტილება (შვილის შემთხვევაში);
- ✓ მარტოხელობის შემთხვევაში – დაბადების მონმობა, ქორწინების მონმობა (ასეთის არსებობისას), შვილ(ებ)ის დაბადების მონმობები (ასეთის არსებობისას).

ნაბიჯი 2: განაცხადის განხილვა

სოციალური პაკეტის დანიშვნის თაობაზე განცხადებას სოციალური მომსახურების სააგენტო იხილავს და გადაწყვეტილებას სოციალური პაკეტის დანიშვნის/არდანიშვნის თაობაზე იღებს განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

ნაბიჯი 3: სოციალური პაკეტის გაცემა

სოციალური პაკეტი გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე. პირს უფლება აქვს, მოითხოვოს სოციალური პაკეტის მიღება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მისი საცხოვრებელი და რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად.

პირს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სოციალური პაკეტი ბანკში დარიცხვით, ან ბინაზე მიტანით.

! შენიშვნა: სოციალური დახმარების ბინაზე მიტანა ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ნაბიჯი 4: სოციალური პაკეტის შეჩერება და განახლება

სოციალური პაკეტის შეჩერება და მისი განახლება ხდება ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

შემთხვევა 1.

- ✓ პირის მიერ სოციალური პაკეტის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობა, ანუ როდესაც არ ხდება მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში.
- ✓ საბანკო ანგარიშიდან თანხების მინდობილობით გაცემის შემთხვევაში, როდესაც არ მომხდარა მინდობილობის განახლება, მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.



- ✓ როდესაც პირი ახორციელებს სარგებლის დეპოზიტზე (ანაბარზე) გადატანას და 1 წლის გასვლის შემდეგ, პირადად არ მიუმართავს საბანკო დაწესებულებისათვის სარგებლის ანაბარზე გადატანის განცხადებით;

სოციალური პაკეტის განახლება მოხდება ბენეფიციარის მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის სოციალური პაკეტის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართვის საფუძველზე.

შემთხვევა 2.

- ✓ პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას.

სოციალური პაკეტის განახლება მოხდება ბენეფიციარის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას.

შემთხვევა 3.

- ✓ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში დადგენილ ვადაში გადაფასებაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას. საპატიო მიზეზებია: საავადმყოფოში, სანატორიუმში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნა; შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მუშაობის გრაფიკის დარღვევა ან ფორს-მაჟორული მდგომარეობა, როგორცაა სტიქიური უბედურება, დაუძლეველი ძალა, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა.

სოციალური პაკეტის განახლება მოხდება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებითი დადგენისა და პირის მიერ სოციალური პაკეტის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის საფუძველზე.

! **შენიშვნა:** განახლებული სოციალური პაკეტის გაცემა ხდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან; ანაზღაურდება სოციალური პაკეტის შეჩერების დღიდან მიუღებელი მაქსიმუმ ერთი წლის თანხა.

რა შეზღუდვები აქვს სოციალური პაკეტის მიღებას?

შეუძლებელია ორიანმეტი სოციალური სარგებლის ერთდროულად მიღება. პირს აქვს მხოლოდ ერთ-ერთი სარგებლის არჩევის და მოთხოვნის უფლება, სააგენტოში წარდგენილი განცხადების შესაბამისად.

დაუშვებელია:

- ✓ ორი ან მეტი სოციალური პაკეტის ერთდროულად მიღება;
- ✓ სოციალურ პაკეტთან ერთად, სახელმწიფო პენსიის (საპენსიო პაკეტი) მიღება;
- ✓ სოციალურ პაკეტთან ერთად, სახელმწიფო კომპენსაციის მიღება;

! **შენიშვნა:** სოციალური პაკეტთან ერთად, კომპენსაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, რომლებიც ასახულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №279, სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში (2012 წელი, 23 ივლისი).

- ✓ სოციალური პაკეტის მიღება საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, ასევე საჯარო საქმიანობის დაწყების შემდგომ, გარდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა.



როგორ ხდება სოციალური პაკეტის შეწყვეტა?

სოციალური პაკეტი წყდება შემდეგ პირობებში:

1. პირადი განცხადებით;
2. საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, გარდა მკვეთრად გამონათული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამონათული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა;
3. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება;
4. უცხო ქვეყნის მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას;
5. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას, ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;
6. ბენეფიციარის გარდაცვალებისას;
7. სოციალური პაკეტის შეჩერებიდან 3 წლის გასვლის შემდგომ;
8. მარჩენალდაკარგული პირის 18 წლის ასაკის მიღწევისას;
9. სოციალური პაკეტის დანიშვნისათვის საჭირო შეზღუდული შესაძლებლობის შესაბამისი სტატუსის დაკარგვისას;
10. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შესაბამის სამედიცინო დანესებულებაში დადგენილ ვადაში გადამონმებაზე გამოუცხადებლობისას, თუ არ არსებობს, ამ წესით გათვალისწინებული, საპატიო მიზეზი;
11. ვეტერანების საქმეთა სამსახურის მიერ მინიჭებული ვეტერანის სტატუსის დაკარგვისას;
12. სახელმწიფო პენსიის დანიშვნისას.



როგორ ხდება სრულ სახელმწიფო კმაყოფილება მყოფი პირის სოციალური პაკეტით უზრუნველყოფა?

სახელმწიფო მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანის შემთხვევაში - სოციალური მომსახურების სააგენტო ბანკში პირის სახელზე ხსნის საანაბრე (სადეპოზიტო) ანგარიშს, რომელზეც ყოველთვიურად ირიცხება სოციალური პაკეტის თანხა.

საანაბრე (სადეპოზიტო) ანგარიშზე ჩარიცხული თანხით (ძირითადი თანხა და პროცენტი) სარგებლობა შესაძლებელია, მხოლოდ პირის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, ან სრულწლოვანების მიღწევამდე – მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით.

მხარდაჭერის მიმღები პირის შემთხვევაში-სოციალურ პაკეტს იღებს უშუალოდ მხარდაჭერის მიმღები პირი ან მისი მხარდამჭერი, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.



**სოციალური მომსახურების სააგენტოს
ტერიტორიული ერთეულები
(2016 წლის მონაცემებით)**



📍 თბილისი

სააგენტოს
ისანი-სამგორის
სერვის ცენტრი

მოსკოვის გამზირი, 25;
(0 32) 2 71 01 28

სააგენტოს
გლდანი-ნაძალადევის
სერვის ცენტრი

დ. სარაჯიშვილის გამზირი, 1;
(0 32) 2 62 33 69; 2 62 33 68

სააგენტოს
დიდუბე-ჩუღურეთის
სერვის ცენტრი

დ. აღმაშენებლის გამზირი, 140ა;
(0 32) 2 94 24 98; 2 94 31 03

სააგენტოს
ვაკე-საბურთალოს
სერვის ცენტრი

მიცკევიჩის ქ., 23;
(0 32) 2 37 17 39, 2 37 19 04.
2 37 19 21, 2 37 19 26

სააგენტოს
ძველი თბილისის
სერვის ცენტრი

ქ. თბილისი, კოსტავას ქ., 47/57

 აჭარა

სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი	ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ., 2ა; (0422) 24 01 78, 24 01 85, 24 01 86, 24 01 75
სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრი	ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ., 2ა; (0422) 24 01 78, 24 01 85, 24 01 86, 24 01 75
სააგენტოს ქობულეთის რაიონული განყოფილება	ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქ., 13; (0 426) 26 69 25, 26 67 18, 26 67 16
სააგენტოს ხელვაჩაურის რაიონული განყოფილება	დ. ხელვაჩაურის, აღმაშენებლის ქ., 21; 25 83 50, 25 83 51
სააგენტოს ქედის რაიონული განყოფილება	დ.ქედა, მ. კოსტავას ქ., 3; (0 425) 25 00 24, 25 00 68
სააგენტოს შუახევის რაიონული განყოფილება	დ. შუახევი, რუსთაველის ქ., 25; (0 424) 26 00 18, 26 00 87
სააგენტოს ხულოს რაიონული განყოფილება	დაბა ხულო, ტბ. აბუსერიძის ქ. N5

 გურია

სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ქ. ოზურგეთი, გოგებაშვილის ქ., 2; (0496) 27 43 33, 27 45 06, 2 25 13 10
სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ქ. ოზურგეთი, გოგებაშვილის ქ., 2; (0496) 27 43 33, 27 45 06, 2 25 13 10



სააგენტოს ლანჩხუთის
რაიონული განყოფილება

ქ. ლანჩხუთი,
ჯორჯიას ქ., 76;
(0 494) 42 39 06

სააგენტოს ჩოხატაურის
რაიონული განყოფილება

ქ. ჩოხატაური,
წერეთლის ქ., 1;
(0 419) 22 20 13

იმერეთი

სააგენტოს იმერეთის
სოციალური მომსახურების
სამხარეო ცენტრი

ქ. ქუთაისი,
ჩეჩელაშვილის ქ., 26;
(0431) 24 04 36, 24 07 06,
24 48 72, 24 63 32

სააგენტოს იმერეთის
სოციალური მომსახურების
სამხარეო ცენტრი

ქ. ქუთაისი,
ჩეჩელაშვილის ქ., 26;
(0431) 24 04 36, 24 07 06,
24 48 72, 24 63 32

სააგენტოს ზესტაფონის
რაიონული განყოფილება

ქ. ზესტაფონი,
გ. რობაქიძის ქ., 5;
(0 492) 25 29 59, 25 29 60

სააგენტოს სამტრედიის
რაიონული განყოფილება

ქ. სამტრედია,
რესპუბლიკის ქ., 6;
(0 411) 22 37 47

სააგენტოს ვანის
რაიონული განყოფილება

ქ. ვანი, თავისუფლების, 65;
(0 432) 22 28 03, 22 10 03

სააგენტოს ბაღდათის
რაიონული განყოფილება

ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ., 9;
(0 434) 22 28 67

სააგენტოს ხარაგაულის
რაიონული განყოფილება

ქ. ხარაგაული,
სოლომონ მეფის ქ., 61ა,
(0 433) 22 18 13,
(0 433) 22 18 13,
22 18 04, 22 11 50

სააგენტოს თერჯოლის რაიონული განყოფილება	ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ., 100; (0 491) 22 12 39, 22 15 68
სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილება	ქ. ჭიათურა, ე. ნინოშვილის ქ., 7; (0 479) 25 25 64, 25 35 79
სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილება	ქ. საჩხერე, თავისუფლების ქ., 4; (0 435) 22 15 36, 22 13 90
სააგენტოს ტყიბულის რაიონული განყოფილება	ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი, 3; (0 497) 22 26 92
სააგენტოს ხონის რაიონული განყოფილება	ქ. ხონი, პ. კაკაბაძის ქ., 17; 591 91 92 39
სააგენტოს წყალტუბოს რაიონული განყოფილება	ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ., 25; (0 436) 22 24 42

 **კახეთი**

სააგენტოს კახეთის სოციალური მომსახურების სამსახურო ცენტრი	ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ., 41; (0350) 27 03 10, 27 03 11, 27 03 14
სააგენტოს გურჯაანის რაიონული განყოფილება	ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ., 17; (0 353) 22 34 20, 22 13 22, 22 25 91, 22 08 60, 22 13 80
სააგენტოს ლაგოდეხის რაიონული განყოფილება	ქ. ლაგოდეხი, თავისუფლების ქ., 11; (0 354) 22 26 03, 22 38 03
სააგენტოს ყვარელის რაიონული განყოფილება	ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ., 71; (0 352) 22 17 80, 22 05 56, 22 04 70



სააგენტოს ახმეტის რაიონული განყოფილება	ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ., 49; (0 349) 22 11 85, (0 349) 22 17 41, (0 349) 22 19 56
სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილება	ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქ., 15; (0 351) 24 32 28, 24 30 08, 24 36 65
სააგენტოს სიღნაღის რაიონული განყოფილება	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქ. წნორი ევდოშვილის ქ., 21; (0 355) 23 13 03, 23 12 06
სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილება	ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ., 44; (0 356) 22 25 20

 მცხეთა-მთიანეთი

სააგენტოს ყაზბეგის რაიონული განყოფილება	დაბა სტეფანწმინდა, აღმაშენებლის ქ., 9; (0 345) 25 21 66
სააგენტოს თიანეთის რაიონული განყოფილება	დაბა თიანეთი, 9 აპრილის ქ., 2; (0 348) 29 15 70
სააგენტოს ახალგორის რაიონული განყოფილება	ცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი, დევნილთა ახალი დასახლება, მე-16 რიგი, კოტეჯი 39; 591 91 90 67
სააგენტოს დუშეთის რაიონული განყოფილება	ქ. დუშეთი, კოსტავას ქ., 31; (0 346) 22 18 78
სააგენტოს მცხეთა - მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ქ. მცხეთა, სამხედროს ქ., 13; (032) 2 51 25 09

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ქ. ამბროლაური, ბრატისლავა რაჭის ქ., 11
სააგენტოს ლენტეხის რაიონული განყოფილება	ქ. ლენტეხი, თამარ მეფის ქ., 31; 591 40 17 24
სააგენტოს ცაგერის რაიონული განყოფილება	ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ., 59; 591 40 17 22
სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ქ. ამბროლაური, ბრატისლავა რაჭის ქ., 11
სააგენტოს ონის რაიონული განყოფილება	ქ. ონი, დ. აღმაშენებლის, 1; 591 91 93 76

სამეგრელო - ზემო სვანეთი

სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ., 93
სააგენტოს ფოთის საქალაქო განყოფილება	ქ. ფოთი, 26 მაისის ქ., 7; (0 493) 22 23 25, 22 20 66
სააგენტოს აბაშის რაიონული განყოფილება	ქ. აბაშა, უჩა კაჭარავას ქ., 2; (0 412) 29 13 35, 29 14 34
სააგენტოს სენაკის რაიონული განყოფილება	სენაკი, რუსთაველის ქ., 229; (0 413) 27 86 20, 27 52 58
სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილება	ხობი, ც.დადიანის ქ., 169; (0 414) 22 24 78
სააგენტოს ჩხორონყუს რაიონული განყოფილება	ჩხორონყუ, გობეჩიას ქ., 3



სააგენტოს მარტივლის რაიონული განყოფილება	მარტივილი, თავისუფლების ქ., 10; (0 418) 22 00 56
სააგენტოს წალენჯიხის რაიონული განყოფილება	წალენჯიხა, სალიას ქ., 5
სააგენტოს მესტიის რაიონული განყოფილება	მესტია, თამარ მეფის ქ., 12ა

 **სამცხე-ჯავახეთი**


სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ახალციხე, კეცხოველის ქ., 6; (0365) 22 01 40, 22 01 61, 22 07 30, 22 08 15
სააგენტოს ბორჯომის რაიონული განყოფილება	ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ., 5 (0 367) 22 37 36, 22 25 77, 22 22 45
სააგენტოს ადიგენის რაიონული განყოფილება	დაბა ადიგენი, არტემ ბალახაშვილის ქ., 19; (0 366) 29 12 49
სააგენტოს ასპინძის რაიონული განყოფილება	დაბა ასპინძა, თამარის ქ., 3; (0 364) 29 12 63
სააგენტოს ახალქალაქის რაიონული განყოფილება	ქ. ახალქალაქი, მამტოცის ქ., 64; (0 362) 22 29 66
სააგენტოს ნინოწმინდის რაიონული განყოფილება	ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ., 43; (0 361) 22 21 00, 22 27 13

 შიდა ქართლი

სააგენტოს შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ქ. გორი, გელდიაშვილი ქ., 3; (0370) 27 17 53, 27 52 76, 27 45 24
სააგენტოს ხაშურის რაიონული განყოფილება	ქ. ხაშური, ტაბიძის ქ., 2; (0 368) 24-24-82, 24 20 35, 24 20 31
სააგენტოს ქარელის რაიონული განყოფილება	ქ. ქარელი, სტალინის ქ., 24; 591 91 92 82
სააგენტოს კასპის რაიონული განყოფილება	ქ. კასპი, კოსტავას ქ., 69; (0 371) 22-21-28, 22 20 44, 22 27 21

 ქვემო ქართლი

სააგენტოს ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ქ. რუსთავი, ცურტაველის ქ., 5ა; (0341) 2 22 06 08, 2 12 46 41, 2 12 27 32
სააგენტოს მარნეულის რაიონული განყოფილება	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ., 69ა; (0 357) 22 25 32
სააგენტოს გარდაბნის რაიონული განყოფილება	ქ. გარდაბანი, ლესელიძის ქ., 1ა; (0 372) 25 28 69, 25 28 85
სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილება	ქ. ბოლნისი, გორგასალის ქ., 15; (0 358) 22 26 27
სააგენტოს დმანისის რაიონული განყოფილება	ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ., 41; (0 360) 22 19 60
სააგენტოს თეთრიწყაროს რაიონული განყოფილება	ქ. თეთრი წყარო, რუსთაველის ქ., 9
სააგენტოს წალკის რაიონული განყოფილება	ქ. წალკა, რუსთაველის ქ., 66; (0 363) 22 16 62, 22 17 66



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ-გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

ვებ-გვერდი: <http://ssa.gov.ge/>

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ თანდართულ რუკაზე.



0+



0-6



6-18



18+



საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა

ჯანდაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რას ითვლისწინებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა შავლდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის?

მკვეთრად გამობატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სარგებლობენ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის, №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ განსხვავებული პაკეტით, რაც ითვალისწინებს, როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული სამედიცინო მომსახურების და სამკურნალო საშუალებების ხარჯების ანაზღაურებას ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების შესაბამისად.

როგორია ამბულატორიული მომსახურების პაკეტი შავლდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის?

ამბულატორიული მომსახურება შეიძლება იყოს გეგმიური, ან გადაუდებელი. ამბულატორიული მომსახურების დროს პაციენტს არ უწევს 24 საათზე მეტ ხანს სამედიცინო დაწესებულებაში დაყოვნება და მოკლე დროშია შესაძლებელი მისი მომსახურება. გეგმიურ ამბულატორიულ მომსახურებაში შედის, მაგალითად, ოჯახის ექიმთან ვიზიტი და გამოკვლევების ჩატარება, ხოლო გადაუდებელ ამბულატორიულ მომსახურებაში შედის, მაგალითად, მოტეხილობაზე თაბაშირის დადება, გადასხმის საჭიროება, ან რომელიმე ისეთი ტკივილის გაყუჩება, რომლის მკურნალობაც სახლის პირობებში ვერ ხერხდება და ასე შემდეგ.

ამბულატორიული მომსახურების მისაღებად საჭიროა ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმთან მიმართვა, შერჩეულ ამბულატორიაში დარეგისტრირება და სამედიცინო ბარათისა და დაზღვევის პოლისის გახსნა.



სრულად ფინანსდება:

- ა) ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის და ექთნის მომსახურება: პროფილაქტიკური აცრების ჩატარება ეროვნული კალენდარის შესაბამისად (მხოლოდ აცრა-ვიზიტი), ჯანმრთელობის მდგომარეობისა და რისკ-ფაქტორების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების ჩატარება, დაავადებათა დიაგნოსტიკა და მართვა, პალიატიური მზრუნველობა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურება ბინაზე (კომპეტენციის ფარგლებში);
- ბ) სხვა ექიმ-სპეციალისტების მომსახურება ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის დანიშნულებით/გადამისამართებით;
- გ) ექიმის დანიშნულებით ელექტროკარდიოგრაფიული, ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევები (რენტგენოსკოპია, რენტგენოგრაფია, მამოგრაფია და კომპიუტერული ტომოგრაფია).



შენიშვნა: თანაგადახდა (ე.ი. დაზღვევა ფარავს მომსახურების უმეტეს ნაწილს, თუმცა პირს უნევს თანხის ნაწილის დაფარვა, განსაზღვრული პროცენტის ოდენობით) საჭიროა, მხოლოდ კომპიუტერული ტომოგრაფიის შემთხვევაში:

- ✓ საპენსიო ასაკის პირები იხდიან მომსახურების ღირებულების 10%-ს.
 - ✓ სხვა დანარჩენები 20%-ს.
- დ) ექიმის დანიშნულებით კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, კრეატინინი, ჰემოგლობინი, ქოლესტერინი სისხლში, შრატში ლიპიდების განსაზღვრა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე, ორსულობის ტესტი;
 - ე) შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მისანიჭებლად სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისათვის საჭირო გამოკვლევები (გარდა მაგნიტურ-ბირთვულ-რეზონანსული გამოკვლევებისა).

! **შენიშვნა:** შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრა შესაძლებელია იმ სამედიცინო დანესებულებებში, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების უფლება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბროშურა: „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრა“ ვ) ყველა სახის სამედიცინო ცნობების, დასკვნებისა და რეცეპტების გაცემა, გარდა სამსახურის დანებებასთან დაკავშირებული ფორმა №IV-100/ა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შენახვის/ტარების უფლების მისაღებად წარსადგენი ცნობებისა;

ბ) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესყიდული სპეციფიკური შრატებითა და ვაქცინებით მომსახურების უზრუნველყოფა).

როგორია სტაციონარული მომსახურების პაკეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის?

სტაციონარული მომსახურება გულისხმობს პაციენტის სამედიცინო მომსახურებას, სადაც მისი გაჩერება ხდება 24 საათზე მეტი ხნით.

ა) გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება, მათ შორის, ინფექციურ დაავადებებთან და ინკურაბელური (განუკურნებელი) პაციენტების პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია, გართულებულ ორსულობასთან, მშობიარობასა და ლოგინობასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია.

თანაგადახდა არ ხდება (ე.ი. დაზღვევა სრულად ფარავს მომსახურებას):

✓ იმ პირების შემთხვევაში, რომელთაც აქვთ კრიკიტული მდგომარეობა;



- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში, ინკურაბელურ პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციისათვის.

თანაგადახდა ხდება (ე.ი. დაზღვევა ფარავს მომსახურების უმეტეს ნაწილს, თუმცა პირს უნევს თანხის ნაწილის დაფარვა, განსაზღვრული პროცენტის ოდენობით):

- ✓ საპენსიო ასაკის პირების შემთხვევაში, მომსახურების ღირებულების 10%.
- ✓ სხვა დანარჩენის შემთხვევაში - 20%.

! **შენიშვნა:** ანაზღაურდება არაუმეტეს 5 საწოლდღე;

ბ) გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მათ შორის, დღის სტაციონარი), ასევე გეგმიურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული წინასაოპერაციო, ოპერაციის მსვლელობისას განხორციელებული და ოპერაციის შემდგომი პერიოდის ყველა ტიპის ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევები.

თანაგადახდა არ ხდება:

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში, კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციებისა და მათთან დაკავშირებული გამოკვლევებისათვის.

თანაგადახდა ხდება:

- ✓ საპენსიო ასაკის პირების შემთხვევაში, მომსახურების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
- ✓ სხვა დანარჩენის შემთხვევაში, 20%-ის ოდენობით.

! **შენიშვნა:** გეგმიური ქირურგიული ოპერაციები და მასთან დაკავშირებული გამოკვლევების დაფინანსების წლიური ლიმიტი არის 15 000 ლარი. თუ სამედიცინო ხარჯი ამ თანხაზე მეტია, სხვაობის დაფარვა ხდება პირის მიერ.

გ) ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა და დიაგნოსტიკა, კერძოდ, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია, აგრეთვე ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები.

სრულად ანაზღაურდება:

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მომსახურების ხარჯები;
- ✓ ასაკით პენსიონერი ვეტერანის, ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანისთვის განუვლი სამედიცინო მომსახურების ხარჯები.

თანაგადახდა ხდება:

- ✓ საპენსიო ასაკის პირების შემთხვევაში, მომსახურების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
- ✓ სხვა დანარჩენის შემთხვევაში, 20%-ის ოდენობით.

! **შენიშვნა:** დაფინანსების წლიური ლიმიტი არის 15 000 ლარი. თუ სამედიცინო ხარჯი აღნიშნულ თანხაზე მეტია, სხვაობის დაფარვა ხდება პირის მიერ.

დ) მშობიარობა


დაფინანსების ლიმიტი ფიზიოლოგიურ მშობიარობაზე არის 500 ლარი, საკეისრო კვეთის შემთხვევაში ლიმიტი 800 ლარი.



როგორია სამკურნალო საშუალებათა პაკეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის?

მკვეთრად გამოსატყუი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ანაზღაურდება სამკურნალო საშუალებები, რომლებიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით (№53/ნ, 2010 წლის 26 თებერვალი) დამტკიცებულ ნუსხაშია წარმოდგენილი.

დაფინანსების წლიური ლიმიტი სამკურნალო საშუალებებზე არის 100 ლარი და ითვალისწინებს 50%-იან თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან.



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>



0+



0-6



6-18



18+



სავარძელ-ებლებით უზრუნველყოფა

(დახმარება საშუალებებით უზრუნველყოფა)

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რა არის სავარძელ-ეძლებით უზრუნველყოფის პროგრამა?

პროგრამა, რომელიც მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ინდივიდუალურად ადაპტირებული მექანიკური და ელექტრო სავარძელ-ეძლების გადაცემასა და სავარძელ-ეძლების ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას.

ვისთვის არის სავარძელ-ეძლებით უზრუნველყოფის პროგრამა?

- სავარძელ-ეძლის საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის/ბავშვებისთვის;
- ელექტრო სავარძელ-ეძლის საჭიროების მქონე 14 წლისა და უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

რა შედის მომსახურებაში?

- სავარძელ-ეძლის გაცემა და, ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, მორგება საჯდომის სიგანის, საზურგის სიმაღლის, ფეხის დასადების მიხედვით;
- საჭიროების შემთხვევაში, სავარძელ-ეძლთან ერთად, ნაწოლებისგან დამცავი სპეციალური ბალიშის გაცემა;
- სავარძელ-ეძლების გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების განწვევა;
- გაცემული სავარძელ-ეძლების საგარანტიო მომსახურება მინიმუმ 24 თვის განმავლობაში;
- საგარანტიო მომსახურების ვადის ამონურვამდე გაცემული სავარძელ-ეძლის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში (რაც არ არის გამოწვეული მომხმარებლის მიზეზით) - მისი უფასო შეცვლა, თუ მისი შეკეთება ვერ ხერხდება საგარანტიო

მომსახურების მიღების მოთხოვნით მიმართვიდან 7 კალენდარული დღის ვადაში;

ელექტრო სავარძელ-ეტლის შემთხვევაში, მომსახურებაში დამატებით შედის:

- ელექტრო სავარძელ-ეტლის მორგება ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით და გადაცემა პირის საცხოვრებელ ადგილზე;
- მენჯისა და გვერდითა დამჭერების, მხრების ქამრის, ფეხის დამჭერი ქამრის, თავის დამჭერის, ტერფის კორექტორის, მაგიდისა და ხელის დასადების დამონტაჟება;
- სავარძელ-ეტლების გამოყენებასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება.

რა ნაბიჯების გავლაა საჭირო ვაჟინის ტალონების მისაღებად?

ნაბიჯი 1: განაცხადის წარდგენა:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ან მინდობით აღმზრდელი სოციალური მომსახურების სააგენტოში წარადგენს:

- განაცხადებას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლს;
- 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემთხვევაში, დაბადების მოწმობის ასლს (პირადობის მოწმობის არქონის შემთხვევაში);
- კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლს;

- სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემონმების აქტს (ფორმა №IV-50/2), სადაც მითითებული იქნება სავარძელ-ეტლის საჭიროება;
- ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს ან ცნობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



შენიშვნა: სხვა კანონიერი წარმომადგენელი დამატებით წარადგენს შესაბამის დამადასტურებელ საბუთს და მის ასლს, ხოლო მინდობით აღმზრდელი - მინდობითი აღზრდის ხელშეკრულების ასლს.

ნაბიჯი 2: ვაუჩერის ტალონების მიღება

- სავარძელ-ეტლის ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება ვაუჩერი;
- ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტი მექანიკური სავარძელ-ეტლის შემთხვევაში შეადგენს 560 ლარს, ხოლო ელექტრო სავარძელ-ეტლის შემთხვევაში - 3480 ლარს;
- მექანიკური სავარძელ-ეტლის შემთხვევაში, ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტის 100%-ის გამოყენება შესაძლებელია:
 - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისათვის;
 - სპეციალიზებულ სადღეღამისო დაწესებულებებში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მცხოვრები პირებისათვის;
 - „ომისა და სამხედროძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 დამე-12 მუხლებით განსაზღვრული პირებისათვის;
 - პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირებისათვის;
 - „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ვაუჩერის გაცემის

შესახებ გადანყვეტილების მიღების მომენტისათვის, არ აღემატება 100 000-ს;

- დანარჩენი პირები დაფინანსდებიანმექანიკური სავარძელ-ეტლის ფაქტობრივი ღირებულების 80%-ით;
- ელექტრო სავარძელ-ეტლის საჭიროების მქონე პირები დაფინანსდებიან ელექტრო სავარძელ-ეტლის ფაქტობრივი ღირებულების 100%-ით.

როგორ ხდება მექანიკური და ელექტრო სავარძელ-ეტილის მიღება?

ვაუჩერით დაფინანსებული დამხმარე საშუალებების ბენეფიციარებისათვის განაწილებას ან შესაბამისი ვაუჩერების გაცემას ახორციელებს სსიპ სოციალური მომახურების სააგენტოს სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს დამხმარე საშუალებებით დაკმაყოფილების თაობაზე მოქალაქეთა განცხადებებს მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად და იღებს გადანყვეტილებას განმცხადებლის დაკმაყოფილების ან მისთვის უარის თქმის შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად.

კომისია ელექტრო სავარძელ-ეტლის გაცემაზე გადანყვეტილებას იღებს შემდეგი ნოზოლოგიების შემთხვევაში:

ა) სამი კიდურის მნიშვნელოვნად გამოხატული ფუნქციური უკმარისობა (პლეგია; პარეზი; ტაკვი; მკვეთრი კონტრაქტურა; ართრიტი) ერთი ზედა კიდურის ნებისმიერი ხარისხის (მათ შორის - კიდურის მაქსიმალური ფუნქციიდან მტვენის მინიმალური) ფუნქციის შენარჩუნებით;

ბ) ჰემიპლეგია; მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზი.




ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

საქართველოში სავარძელ-ეტიკების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულია 1 ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამით გათვალისწინებული პროდუქციის დამზადებაზე და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებაზე:

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის

მისამართი: ქ. თბილისი, კედიას ქ., 7,
ტელეფონი: 0322356609



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები
და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:
<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



**ყავარჩნებით, ხელჯოხ-ყავარჩნებით,
უსინათლოთა ხელჯოხებითა და
გადასაადგილებელი ჩარჩოებით უჯრუწველყოფა
(დამხმარე საშუალებებით უჯრუწველყოფა)**

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



რა არის ყავარჯნებით, ხელჯობ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯობებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის პროგრამა?

მომსახურება, რომელიც ხელს უწყობს მხედველობის არმქონე, ყავარჯნის, ხელჯობ-ყავარჯნის ან გადასაადგილებელი ჩარჩოს საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ხანდაზმულების დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებასა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს.

ვისთვის არის პროგრამა?

- ყავარჯნის, ხელჯობ-ყავარჯნის ან გადასაადგილებელი ჩარჩოს საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის პირებისა და ხანდაზმულებისათვის (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან);
- უსინათლოთა ხელჯობის საჭიროების მქონე პირებისათვის.

რა შედეგების მოსაზრებაში?

- ყავარჯნის შეძენა და გაცემა;
- ხელჯობ-ყავარჯნის შეძენა და გაცემა;
- გადასაადგილებელი ჩარჩოს-ჩოჩიალას (გორგოლაჭების გარეშე) შეძენა და გაცემა;
- უსინათლოთა (თეთრი) ხელჯობის შეძენა და გაცემა;

რა ნაბიჯების გავლაა საჭირო ვაუჩერის ტალონების მისაღებად?

ნაბიჯი 1: განაცხადის წარდგენა:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ან კანონიერი წარმომადგენელი, ან მინდობით აღმზრდელი სოციალური მომსახურების სააგენტოში წარადგენს:



- განცხადებას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლს;
- 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემთხვევაში, დაბადების მოწმობის ასლს (პირადობის მოწმობის არქონის შემთხვევაში);
- კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლს;
- ჯანმრთლობის მდგომარეობის შესახებ ცნობას (ფორმა №100/ა), სადაც მითითებული იქნება დამხმარე საშუალების საჭიროება შესაბამისი სახეობის მითითებით, გარდა მხედველობის არმქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/ბავშვისა.

! **შენიშვნა:** სხვა კანონიერი წარმომადგენელი დამატებით წარადგენს შესაბამის დამადასტურებელ საბუთს და მის ასლს, ხოლო მინდობით აღმზრდელი - მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლს.


ვინ არის მომსახურების მიწოდებელი?

საქართველოში ყავარჯნებით, ხელჯობ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯობებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოების მომსახურების მიწოდებლად რეგისტრირებულია 1 ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამით გათვალისწინებული პროდუქციის დამზადებაზე და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებაზე:

შპს „პი ემ ჯი“

მისამართი: რობაქიძის ქ., 7

ტელეფონი: 557 040 506



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები

და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:

<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



სმენის აპარატებით უზრუნველყოფა (დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა)

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რა არის სმენის აპარატებით უზრუნველყოფის პროგრამა?

მომსახურება, რომელიც ხელს უწყობს სმენის აპარატის საჭიროების მქონე პირებისა და ბავშვების დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას.

ვისთვის არის სმენის აპარატებით უზრუნველყოფის პროგრამა?

- სმენის აპარატის საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის/ბავშვებისათვის;
- გარეთა ყურისა და სასმენი მილის ატრეზიის მქონე ბავშვებისათვის.

რა შედის მომსახურებაში?

- ციფრული სმენის აპარატის შეძენა და გაცემა;
- ციფრული აპარატის მორგება;
- ციფრული სმენის აპარატის გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამისი სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების განწევა;
- გაცემული ციფრული სმენის აპარატის უფასო საგარანტიო მომსახურება არანაკლებ 12 თვის განმავლობაში.

რა არის საჭირო სმენის აპარატის მისაღებად?

განაცხადის წარდგენა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ან მინდობით აღმზრდელი სოციალური მომსახურების სააგენტოში წარადგენს:

- ✓ განაცხადებას;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პირადობის მონმობის ან პასპორტის ასლს;



- ✓ 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემთხვევაში, დაბადების მოწმობის ასლს (პირადობის მოწმობის არქონის შემთხვევაში);
- ✓ კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლს;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლს;
- ✓ ფორმა №IV-50/2-ს, რომელშიც მითითებული იქნება სმენის აპარატის საჭიროება.


! **შენიშვნა:** სხვა კანონიერი წარმომადგენელი დამატებით წარადგენს შესაბამის დამადასტურებელ საბუთს და მის ასლს, ხოლო მინდობით აღმზრდელი - მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლს.

ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

საქართველოში სმენის აპარატის მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულია 1 ორგანიზაცია:

შპს „კინდ-სმენა“

მისამართი: თევდორე მღვდლის ქ., 13
ტელეფონი: 0322 34 52 55



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები

და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:

<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობა

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რა არის ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის პროგრამა?

პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში მცხოვრები ყრუ პირების სოციალურ ინტეგრაციას სურდო თარჯიმნის, თარჯიმან-დაქტილოლოგების მომსახურების უზრუნველყოფით.

საქართველოს რეგიონებში პროგრამას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის პროგრამა თბილისში ხორციელდება მერიის დაფინანსებით.

რა შედის მომსახურებაში?

- ✓ საქართველოს 8 რეგიონში/მხარეში (გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი) საჯარო დაწესებულებებთან და კერძო პირებთან ურთიერთობების დროს 10 სურდო თარჯიმნის მომსახურება;
- ✓ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სხვადასხვა მომსახურების შესახებ ყრუ პირების ინფორმირება.

! **შენიშვნა:** მომსახურების მოთხოვნა შეუძლია ასევე ნებისმიერ საჯარო დაწესებულებას, ყრუ პირის მიმართვის შემთხვევაში. ასეთ დროსაც, დაწესებულება უკავშირდება საქართველოს ყრუთა კავშირს, რომელიც უზრუნველყოფს სურდო თარჯიმნის მომსახურებას.



რა ნაბიჯების გავლაა საჭირო მომსახურების მისაღებად?

ნაბიჯი 1.

ყრუ პირი მიმართავს ქ. თბილისში საქართველოს ყრუთა კავშირს, ხოლო რეგიონებში საქართველოს ყრუთა კავშირის ბალანსზე არსებულ ფილიალებს;

ნაბიჯი 2.

მომსახურების მიმღებ პირებს გადაეცემათ სურდო თარჯიმნების ინდივიდუალური ტელეფონის ნომრები და სკაიპის მისამართი;

! **შენიშვნა:** მომსახურების მიმღებ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია დაუკავშირდეს სურდო თარჯიმანს ტელეფონზე შეტყობინების გაგზავნისა და სკაიპის საშუალებით, რის საფუძველზეც, ის ინდივიდუალურად მიიღებს სურდო თარჯიმნის მომსახურებას.


ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

საქართველოში ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით მომსახურების მიწოდებას ახორციელებს 1 ორგანიზაცია:

საქართველოს ყრუთა კავშირი

მისამართი: ქ. თბილისი, მათაკოვსკის ქ., 6

ტელეფონი: 577 45 66 15



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები და

საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი: <http://ssa.gov.ge/>

საქართველოს ყრუთა კავშირს

მისამართი: თბილისი, მათაბერძნის ქ., 6

ტელეფონი: 577 45 66 15



0+



0-6



6-18



18+



ბავშვთა ადრეული განვითარება (0-7 წელი)

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რა არის ბავშვთა ადრეული განვითარება ანუ ბავშვთა ადრეული ინტერვენცია?

მომსახურება, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის განვითარების სტიმულირებას, მის სოციალიზაციას და განათლების ხელშეწყობას, ასევე, ბავშვის ოჯახის გაძლიერებას აღზრდა-განვითარების საკითხებში. კერძოდ, ბავშვის ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციის, შემეცნებითი და თვით-მოვლის სფეროების განვითარების მხარდაჭერა ადრეული ჩარევის სპეციალისტის, და საჭიროების შემთხვევაში, სხვა სპეციალისტთა გუნდის ჩართულობით და მშობლების/ძირითადი მომვლელების მონაწილეობით.

პროგრამის მთავარი იდეაა, ბავშვმა განივითაროს სხვადასხვა მნიშვნელოვანი უნარები მისთვის ბუნებრივ გარემოში (ოჯახში, საბავშვო ბაღში, მცირე ჯგუფებში, სკოლაში და სხვა).

ვისთვის არის ადრეული განვითარების პროგრამა?

დაბადებიდან 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის, რომლის პროგრამაში ჩართვა რეკომენდირებულია ბავშვთა პედაგოგის/ოჯახის ექიმის, ნევროლოგის, სხვა ექიმ-სპეციალისტის ან ნეიროფსიქოლოგის მიერ. საქართველოში ადრეული განვითარების (ინტერვენციის) პროგრამაში ძირითადად ჩართულები არიან დაუნის სინდრომის, აუტისმის, ცერებრული დამბლის, ენობრივი დარღვევების და ფსიქიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები, თუმცა პროგრამა განკუთვნილია ნებისმიერი ბავშვისათვის, ვისაც განვითარების ეტაპების დაყოვნება აღენიშნება.

რა შედეგს მომსახურებაში?

სპეციალისტთა გუნდის ერთი ან რამდენიმე პროფესიონალის (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი



და სხვა) მიერ განეული მომსახურება, რომელსაც აფინანსებს სახელმწიფო შემდეგი პრინციპით:

- დაბადებიდან 3 წლის ასაკის შესრულებამდე მომსახურებაში ჩართული ბავშვებისათვის თვეში - მაქსიმუმ 8 ვიზიტი, თითო ვიზიტის ხანგრძლივობა 1 საათია;
- 3-დან 7 წლამდე განვითარების შეფერხების (სამ და/ან მეტ სფეროში) მქონე ბავშვებისათვის თვეში - მაქსიმუმ 8 ვიზიტი;
- თუ 3-7 წლამდე ბავშვს შეფერხება/შეზღუდვა აქვს განვითარების ერთ, ან 2 სფეროში, მომსახურებაში ჩართვიდან ერთი წლის განმავლობაში, თვეში - მაქსიმუმ 8 ვიზიტი, მეორე წელს - თვეში მაქსიმუმ 6 ვიზიტი, მესამე და მომდევნო წლების განმავლობაში - თქვეში მაქსიმუმ 4 ვიზიტი.

რა არის საჭირო მომსახურების მისაღებად?

ვაუჩერის ტალონების მიღება, რაც წარმოადგენს მომსახურების დაფინანსების საშუალებას და მათი წარდგენა ორგანიზაციაში, რომელიც არის ოფიციალურად რეგისტრირებული აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლად (მომსახურების მიმწოდებლები იხილეთ რუკაზე).

შენიშვნა: ამ ეტაპზე ვაუჩერის ღირებულება თვეში 148 ლარია; ვაუჩერის მიღებამდე მშობელს შეუძლია მიმართოს პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციას და გააფორმოს მასთან კერძო ხელშეკრულება.

რა ნაბიჯების გავლაა საჭირო ვაუჩერის ტალონების მისაღებად?

ნაბიჯი 1: განაცხადის წარდგენა:

მშობელი, ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენელი, ან მინდობით აღმზრდელი სოციალური მომსახურების სააგენტოში წარადგენს:

- განაცხადებას (ივსება სააგენტოში);
- პირადობის მოწმობის, ან პასპორტის ასლს;

- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს;
- ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას (ფორმა №100/ა).

! **შენიშვნა:** სხვა კანონიერი წარმომადგენელი დამატებით წარადგენს შესაბამის დამადასტურებელ საბუთს და მის ასლს, ხოლო მინდობით აღმზრდელი - მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლს.

ნაბიჯი 2: განაცხადის განხილვა:

სააგენტოს სოციალური მუშაკი განიხილავს წარდგენილ დოკუმენტაციას და ამზადებს დასკვნას, ესაჭიროება, თუ არა ბავშვს მომსახურება. დასკვნის მომზადებას სჭირდება მაქსიმუმ ერთი თვე.

ნაბიჯი 3: ბავშვის მაძიებელთა რეესტრში განთავსება:

დადებითი პასუხის შემთხვევაში, სააგენტოს სოციალური მუშაკი მშობელს, ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, ან მინდობით აღმზრდელს, გარკვეული პერიოდის შემდეგ აცნობებს, რომ ბავშვი განთავსდა მომლოდინეთა სიაში (ე.წ. მაძიებლების რეესტრი).

! **შენიშვნა:** მოლოდინის პერიოდი არ არის განსაზღვრული და დამოკიდებულია ვაუჩერის მიღების რიგითობის პირობებზე. ვაუჩერს პირველ რიგში მიიღებენ:

- ბავშვები, რომლებიც მომსახურებით სარგებლობდნენ წინა 12 თვის განმავლობაში;
- 3 წლამდე ასაკის ბავშვები;
- ბავშვები რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახებიდან;
- მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები;
- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული 100 001-მდე სარეიტინგო ქულის



მქონე ოჯახების ბავშვები, რომელთა ოჯახებს სარეიტინგო ქულა ყველაზე დაბალია განცხადების წარდგენის დღისათვის;

- განცხადების თარიღის რიგითობის მიხედვით.

ნაბიჯი 4: ვაუჩერის ტალონების მიღება

სააგენტოს მიერ გაიცემა ვაუჩერის ტალონები მაქსიმუმ 12 თვის ვადით (წლის ბოლომდე). თუმცა თუ ბავშვს უსრულდება 7 წელი, გაიცემა იმ რაოდენობის ტალონები, რამდენი თვეც არის დარჩენილი 7 წლის ასაკის შესრულებამდე (მაგალითად, ბავშვი არის 6 წლის და 1 თვის, გაცემული ტალონების რაოდენობა იქნება თერთმეტი).



შენიშვნა: ზედიზედ 2 თვის ვაუჩერის ტალონის გამოუყენებლობა იწვევს ვაუჩერის ავტომატურად გაუქმებას. მის აღსადგენად საჭირო იქნება ყველა ეტაპის თავიდან გავლა.

ნაბიჯი 5: ვაუჩერის ყოველწლიური განახლება

ყოველი წლის დეკემბერში აუცილებელია, ვაუჩერის განახლება მომდევნო წლის დაფინანსების უწყვეტად მისაღებად. ამისათვის საჭიროა იგივე განაცხადის ხელახალი წარდგენა, რა შემთხვევაშიც გაგრძელდება მომსახურების დაფინანსება.

ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

საქართველოში ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულია 14 ორგანიზაცია.

მშობელს, ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს, ან მინდობით აღმზრდელს შეუძლია შეარჩიოს და/ან ნებისმიერ დროს შეცვალოს მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია, რომელთანაც წარადგენს ვაუჩერს და მიიღებს მომსახურებას.

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები იხილეთ თანდართულ რუკაზე.



ბავშვთა აღრეული განვითარების პროგრამის მომსახურების მიმწოდებლები

(2016 წლის მონაცემებით)



თბილისი

კავშირი „საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“

ჭავჭავაძის გამზ., 32;
593 34 45 31 / 591 50 35 69;
nzsintsadze@hotmail.com,
t.akhobadze@portage.ge

„პირველი ნაბიჯი საქართველო“

ლუბლიანას, 21;
577 76 11 88 / 568 48 00 14;
takanozadze@gmail.com,
k.k.japaridze@gmail.com

რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს ბავშვები“

ნუცუბიძის მე-2 პლატო, პირველი კვ. კორპ7, ბინა 4; 558 48 58 14;
annagazashvili@gmail.com

შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“

დიდუბის რ-ნი, დიღმის მასივი, ლუბლიანას ქ., 2/6; 599 51 03 47;
sofiatat75@hotmail.com

თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი

ბორჯომის ქ., 10; 599 56 47 21;
cfp.shostak@gmail.com

ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი

„მწვანე სახლი“
ნინო რამიშვილის, 37;
599 64 90 67



ქუთაისი

განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „თაირისი“

ახალგაზრდობის გამზირი
მე-3 შეს., 4;
599 71 31 55, 599 16 95 72;
tairis.ge@gmail.com,
irinaabd@yandex.ru

„ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის“

ხარებავას, 41;
568 11 95 00;
lashaabeladze5@gmail.com

ბათუმი

აბილიტაციის და განვითარების ცენტრი

ხიმშიაშვილის 9, ბ. 23;
568 18 55 11, 599 00 60 09;
ingazarandia@gmail.com

ქობულეთი

შპს „უნიმედი აჭარა“ ჩაქვის სამედიცინო ცენტრი

ქობულეთის რ-ნი, დაბა ჩაქვი
თამარ მეფის ქუჩა, 40-ის მიმდებარედ;
599 76 25 20, 577 30 28 08;
mtskomelidze@evex.ge

ზუგდიდი

ა(ა)იპ ინვალიდ ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა „ნერგები“

ბერიას ქ., 44; 579 34 44 23;
luka86@rambler.ru

შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“

მ.გორკის ქ., 46;
599510347;
sofiatat75@hotmail.com

ჩხოროწყუ

ა(ა)იპ „კოალიცია სოციალური რეფორმებისთვის“

წერეთლის ქ., 5;
593 14 78 05

ლაგოდეხი


საქართველოს სამარიტელთა კავშირი

სოფ. კავშირი; 577 40 60 93;
viktoriamidelaury@gmail.com

თელავი

საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის

ასოციაცია
ფალიაშვილის, 20; 593 33 42 24;
ninopaatashvili@gmail.com



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge;

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: 1505

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები
და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:
<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ოპენ სოციეტისთვის საქართველო



რა არის კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადასუბაეპლი დახმარება?

მომსახურება, რომელიც ხელს უწყობს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებასა და ბავშვის მიტოვების რისკის შემცირებას. მომსახურება ითვალისწინებს ოჯახების ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას და ასევე ოჯახისათვის საყოფაცხოვრებო ნივთების გადაცემას, როგორცაა მაგალითად, გაზქურა, გამათბობელი, მაცივარი, სანოლი, ავეჯი და სხვა, გამომდინარე ოჯახის საჭიროებიდან.

ვინ შეიძლება ისარგებლოს პროგრამით?

1. საქონლის/მომსახურების (საყოფაცხოვრებო ნივთების) გადაცემის შემთხვევაში:

სიღატაკეში მყოფმა ბავშვიანმა ოჯახებმა, კერძოდ:

- რეინტეგრაციას დაქვემდებარებული ბავშვების ოჯახებმა;
- რეინტეგრირებული ბავშვის ოჯახმა, თუკი დახმარების შესახებ განცხადების გაკეთების დროისთვის რეინტეგრაციის განხორციელებიდან არ არის გასული 90 კალენდარული დღე;
- ოჯახმა, რომელსაც ჰყავს ერთი ან მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი;
- ოჯახმა, რომელშიც ბავშვთან/ბავშვებთან ერთად ცხოვრობს არაუმეტეს ერთი შრომის უნარიანი სრულწლოვანი;
- ოჯახმა, რომელშიც ცხოვრობს სამი ან მეტი ბავშვი;
- ბავშვიანმა ოჯახმა, რომელიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვს 65001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა.



2. ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის შემთხვევაში:

- ოჯახმა, რომელიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვს 65001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა;
- რეინტეგრაციის შემწეობის მიმღებმა ოჯახმა.

რა შედეგის მომსახურებაში?

- ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებისათვის გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, საყოფაცხოვრებო ნივთების შესყიდვა და გადაცემა;
- ერთი წლისა და ექვსი თვის ასაკის ჩათვლით ბავშვებისა და რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა.

რა ნაბიჯების გავლაა საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთების მომსახურების მისაღებად?

- ოჯახებისათვის საყოფაცხოვრებო ნივთების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილი სპეციალური კომისია.
- ერთ ოჯახზე მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

რა ნაბიჯების გავლაა საჭირო ხელოვნური კვების პროდუქტების მისაღებად?

ნაბიჯი 1: განაცხადის წარდგენა

ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი სააგენტოში წარადგენს იმ ექიმ-სპეციალისტის მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას (ფორმა №IV-100/ა), რომელიც ახორციელებს ბავშვის განვითარებაზე მუდმივ მეთვალყურეობას;

ექიმის მიერ გაცემულ ცნობაში მითითებული უნდა იყოს ბავშვის ხელოვნური კვების საჭიროება.

ნაბიჯი 2: განაცხადის განხილვა

- სოციალური მუშაკი ამზადებს ოჯახის შეფასების შესახებ დასკვნას;
- სოციალური მუშაკი მის მიერ მომზადებულ დასკვნასა და ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას გადასცემს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ საბჭოს;
- მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ბავშვისათვის ხელოვნური კვების პროდუქტების გადაცემის შესახებ.

! **შენიშვნა:** პრიორიტეტი ენიჭებათ რეინტეგრაციაში მყოფ ბავშვებს და იმ ოჯახების ბავშვებს, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების მომენტში აქვთ ნაკლები სარეიტინგო ქულა.



ნაბიჯი 3: ვაუჩერის ტალონების მიღება

- ქვეპროგრამის ფარგლებში მიწოდებული საყოფაცხოვრებო ნივთების ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება ვაუჩერი;
- კვების ვაუჩერის ტალონები გაიცემა გადაწყვეტილების მიღების მომდევნო თვიდან 12 თვეზე, სანამ ბავშვი ერთი წლის არ გახდება ან საჭიროებიდან გამომდინარე, რამდენიმე თვეზე;
- ვაუჩერი გაიცემა ბავშვის კანონიერ წარმომადგენელზე, რომელიც ყოველი თვის 10 რიცხვის ჩათვლით საქონლის მიმწოდებელს გადასცემს შესაბამისი თვის ვაუჩერის ტალონს.

! შენიშვნა: გაცემული ვაუჩერის ზედიზედ 2 თვის მანძილზე გამოუყენებლობა იწვევს ვაუჩერის ავტომატურ გაუქმებას.

რა არის საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთების გადასემის პროგრამაში ჩასართავად?

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებებს.

მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას.

პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯამრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს


ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები

და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:

<http://ssa.gov.ge/>



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები

და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:

<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



ინკლუზიური სკოლაშენი განათლება

მუნიციპალური



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



რას გულისხმობს ინალუზიური სკოლამდელი განათლება?

საგანმანათლებლო მიდგომა, რომლის ფარგლებშიც სკოლამდელი დანესებულება (საბავშვო ბაღი) უზრუნველყოფს ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მიუხედავად ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.

საჯარო და კერძო საბავშვო ბაღი ვალდებულია გააგრძელოს ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართული ბავშვისთვის განათლების მიწოდება დამატებით ერთი წლით, თუ, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ არ არის მიზანშეწონილი მისი სკოლაში შესვლა, მიუხედავად შესაბამისი ასაკისა (ასაკი 6 წელი).

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის მათი თანატოლების მსგავსად მისწავლომი, ხარისხიანი და ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მომსახურების უზრუნველყოფა.

რა არის სკოლამდელი განათლება?

2 წლის ასაკიდან ზოგადი განათლების დანყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვის განვითარების უზრუნველსაყოფად მისთვის მიწოდებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურება. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სავალდებულო კომპონენტია სასკოლო მზაობის პროგრამა - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს პირველ კლასში შესვლამდე 5 წლის ბავშვის მრავალმხრივ განვითარებასა და სასკოლო მზაობის ხელშეწყობისთვის შესაბამისი შედეგების მიღწევას.



ვინ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი/ალსაზრდელი?

ბავშვი/ალსაზრდელი, რომელსაც აღენიშნება ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ქცევითი სირთულეები ითვლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ალსაზრდელად, მისი შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის არ არსებობის მიუხედავად (კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, 2016).

რა პროცედურის გავლაა საჭირო ბავშვის სკოლამდელ დაწესებულებაში (ბაღში) ჩასარიცხად?

თბილისის შემთხვევაში:

ნაბიჯი 1: ზოგადად ბაღში ჩასარიცხად, პირველ რიგში, საჭიროა ბავშვის (სხვა თანატოლების მსგავსად) მშობლის, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან მინდობით აღმზრდელის მიერ ბავშვის ონლაინ რეგისტრაცია. რეგისტრაცია შესაძლებელია მშობლის მიერ შერჩეულ მხოლოდ ერთ საჯარო ბაგა-ბაღში, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ვებ-გვერდზე www.kids.org.ge.

! **შენიშვნა:** რეგისტრაციის გავლას შეძლებს ყველა ის ბავშვი, რომელიც სასწავლო-სააღმზრდელი წლის დასაწყისში (და არა რეგისტრაციის მომენტში) იქნება 2 წლის.

ნაბიჯი 2: მშობელმა, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლმა, ან მინდობით აღმზრდელმა ბავშვის ბაღში მიყვანისას აუცილებლად უნდა წარადგინოს ბავშვის მიღებისათვის საჭირო ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:

- ✓ მშობლის, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის, ან მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი მონმობის ასლი;

- ✓ ბავშვის დაბადების მონმობის დედანი და ასლი (დედანი მოგვიანებით მშობელს უბრუნდება);
- ✓ ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
- ✓ მშობლების პირადობის მონმობების ასლები;
- ✓ ორი ფოტოსურათი (3X4);
- ✓ სოციალურად დაუცველის მონმობა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი სოციალურად დაუცველია.

! **შენიშვნა:** რეგისტრაცია ხორციელდება 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე რეგისტრაციის უპირატესობით სარგებლობენ:

- ✓ სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ ფილიალის, ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები, „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ (შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დანესებულების) წერილობითი მომართვის საფუძველზე საფუძველზე;
- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები;
- ✓ იმ ოჯახის ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე სკოლამდელი აღზრდის დანესებულების მომსახურებით;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შუამდგომლობის საფუძველზე.

საქართველოს მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქების შემთხვევაში:

ნაბიჯი 1: მშობელი, ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, ან მინდობით აღმზრდელი, განცხადების საფუძველზე, მიმართავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობას ან თვითმმართველი



ქალაქის მერიის ქვეშ ფუნქციონირებადი სკოლაგდელი აღზრდის გაერთიანებას (ან უშუალოდ ბაღს) ბავშვის რეგისტრაციის მიზნით.

ნაბიჯი 2: მშობელი, ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, ან მინდობით აღმზრდელი წარადგენს სკოლაგდელი აღზრდის გაერთიანების (ან უშუალოდ ბაღის) მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას, რაც, როგორც წესი, არის:

- ✓ მშობლის, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის შემთხვევაში ფორმა №IV-100/ა, ან ფორმა №IV-50/2 და სამედიცინო დანესებულებიდან გაცემული შეფასების რეკომენდაცია საბავშვო ბაგა-ბაღის ჩართვის თაობაზე;
- ✓ სხვა (განსაზღვრავს თითოეული მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი ინდივიდუალურად);

! **შენიშვნა:** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის/აღსაზრდელის შემთხვევაში, შესაძლებელია საჭირო გახდეს დამატებითი, კვალიფიცირებული სპეციალისტების მიერ განხორციელებული ბავშვის პირველადი შეფასება (კოგნიტური, ფიზიკური და ა.შ. უნარების). პირველად შეფასებას თან უნდა ახლდეს რეკომენდაცია ბავშვის ბაღში ჩარიცხვის შესახებ. პირველად შეფასებაზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს ის გარემო, რომელიც უმჯობესია ბავშვის განვითარებისათვის.

- ✓ ბაგა-ბაღის ადმინისტრაციასა და მშობელს შორის ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც დანესებულების დირექტორისა და მშობლის მიერ იქნება ხელმოწერილი.

რამხარდაჭერა არსებობს, რაც ხელს უწყობს ინკლუზიურ სკოლაგდელ განათლებას?

თბილისის 20-ზე მეტ ბაღში მუშაობს სპეციალური განათლების პედაგოგი, რომლის მოვალეობაში შედის ბაღის თანამშროლმების მხარდაჭერა, კონსულტირება და მათთან ერთად მუშაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით.

თბილისის საბავშვო ბაღების უმრავლესობაში ასევე ხელმისაწვდომია ფსიქოლოგის და ზოგიერთ შემთხვევაში, ლოგოპედის მომსახურება. თბილისის ზოგიერთ ბაგა-ბაღებში ინკლუზიური განათლების კოორდინატორის ფუნქციას საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები (მეთოდისტები) ასორციელებენ.

თბილისის საბავშვო ბაღებს აქვთ შესაძლებლობა მიმართონ თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს და მოითხოვონ სპეციალისტი ბავშვის შესაძლებლობების და საჭიროებების საბავშვო ბაღის გარემოში შეფასებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით. ეს მომსახურება „საქართველოს პორტიჯის ასოციაციისა“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

საერთაშორისო ორგანიზაციის „World Vision-ის ფილიალი საქართველოში“ მხარდაჭერით და შესაბამის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ახალციხის, ადიგენის, ბაღდათისა და გურჯაანის სკოლამდელი აღზრდის დანესებულებების გაერთიანებებში არსებობს ინკლუზიური სკოლამდელი განათლებისა და განვითარების სპეციალისტი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ჩართულობას ბაღებში და მათი განვითარების შესაბამისი ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდებას.

შენიშვნა: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ბაღში ჩართვისა და ინტერგარციის პროცესის ხელშეწყობაში ასევე ჩართულები არიან ბავშვთა ადრეული განვითარების/ინტერვენციის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები (ჩამონათვალი იხილეთ ბროშურაში „ბავშვთა ადრეული განვითარება“).



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შავიტხვების შემთხვევაში მიმართეთ

ადგილობრივ თვითმმართველობებს.
მისამართები და საკონტაქტო ინფორმაცია
იხილეთ ბროშურაში:

„ადგილობრივი თვითმმართველობების პროგრამები“



0+



0-6



6-18



18+



აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია

თბილისის მერია



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რა არის აუთისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა?

მომსახურება, რომელიც მოიცავს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მოტორული, შემეცნებითი, სოციალური, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების განვითარებას, ბავშვების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

ვისთვის არის აუთისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა?

- 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედი რეგისტრაციის მქონე, 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით, საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთა ძირითადი დიაგნოზი არის განვითარების ზოგადი აშლილობა (F84.0 - F84.9);
- იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე, 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით, საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთა ძირითადი დიაგნოზი არის განვითარების ზოგადი აშლილობა (F84.0 - F84.9) და რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად აქვთ ქ. თბილისი.

რა შედეგს მომსახურებაში?

- ბავშვის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენა;
- ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება;



- თვეში არაუმეტეს 20 ინდივიდუალური სეანსის მიწოდება, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად;
- ინდივიდუალური სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებს 1 საათს;
- თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 14 სეანსი, ხოლო 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, არანაკლებ 3/4;
- ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება;
- 6 თვეში ერთხელ ბავშვისთვის განეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ABLLS-R, VB-MAPP) და ანგარიშის წარდგენა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურში, აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ 2 თვის განმავლობაში.

რა არის საჭირო მომსახურების მისაღებად და რა ოდენობით ანაზღაურდება?

- მომსახურების მისაღებად გამოიყენება ვაუჩერი თვეში არაუმეტეს 420 ლარის ოდენობით;
- ინდივიდუალური სეანსის ღირებულება არის 21 ლარი;
- თვეში ფინანსდება არაუმეტეს 20 სეანსი.

რა ნაბიჯების გავლა საჭირო ვაუჩერის მისაღებად?

ნაბიჯი 1: მომსახურების მიმწოდებლის მიერ სიის მომზადება

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია (ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ) პროგრამაში შესაბამისი ადგილის გაჩენის შემთხვევაში, ადგენს სიას და უგზავნის თბილისის მერიას;

მერიისთვის გაგზავნილ სიას თან უნდა ერთვოდეს:

- ბავშვის დაბადების მოწმობის/იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

! **შენიშვნა:** კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 2 თვით ადრე და მითითებული უნდა იყოს ბავშვის ძირითადი დიაგნოზი;
- ADOS ტესტირების შედეგი;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში).

ნაბიჯი 2: ბავშვის რეგისტრაცია ქვეპროგრამაში

განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბავშვი რეგისტრირდება ქვეპროგრამაში.



ნაბიჯი 3: მომსახურების მიწოდების დაწყება

მომსახურების მიწოდება იწყება რეგისტრაციის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან;

! **შენიშვნა:** პრიორიტეტი მიენიჭება მომლოდინეთა რიგში/სიაში მყოფ ყველაზე მცირე ასაკის ბავშვს, ხოლო ერთნაირი ასაკის შემთხვევაში, იმ ბავშვს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა განცხადებით.

მშობელს აქვს მომსახურების მიმწოდებლის არჩევის უფლება, რასაც აფიქსირებს განცხადების ფორმაში.

რა დროს უქმდება ვაუჩერის მოქმედება?

- თუ ბავშვი არ ივლის, არ გამოცხადდება პროგრამის მიმწოდებელთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით;
- ასევე თვის მანძილზე განსაზღვრული ვიზიტების რაოდენობის 30%-ის (და მეტის) გამოუყენებლობის შემთხვევაში;

! **შენიშვნა:** ვაუჩერის მოქმედება არ გაუქმდება შემდეგი შემთხვევების არსებობის დროს:

- თუ ბავშვი აცდენს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და წარმოადგენს ამის დამადასტურებელ შესაბამის ცნობას;
- აცდენს სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში ჩართვის გამო (კურორტული დასვენება, კულტურული, შემეცნებითი და სპორტული გასვლები);

! **შენიშვნა:** ამ შემთხვევაში, გაცდენილი დღეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს წლის განმავლობაში.

- გაცდენის მიზანშეწონილობაზე წერილს ამზადებს მომსახურების მიმწოდებელი, რომელსაც თან ერთვის მშობლის წერილობითი ახსნა-განმარტება;
- გაცდენა გამოწვეულია დანესებულების დროებითი დახურვის გამო (მომსახურების მიმწოდებელმა აღნიშნულის თაობაზე მშობელს წერილობით უნდა აცნობოს ერთი თვით ადრე);

! **შენიშვნა:** ბავშვის ქვეპროგრამიდან გასვლის შემთხვევაში, მისი ხელახალი ჩართვა ხდება თავდაპირველი ჩარიცხვისათვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად.

ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

თბილისში აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირებულია 5 ორგანიზაცია:

ბავშვის განვითარების ინსტიტუტი

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, 32

ტელეფონი: 0322 220009 (460);

ნეიროგანვითარების ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ., 2/6

ტელეფონი: 0322 527889, 0322 526649;

საქართველოს ბავშვები

მისამართი: ქ. თბილისი, სააკაძის ფერდობი №11, მე-3 სართული

ტელეფონი: 0790 218514;

პირველი ნაბიჯი საქართველო


მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ., 21^ბ

ტელეფონი: 0322 603604;

მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, ნ. ვაჩნაძის ქ., 7

ტელეფონი: 0322 999400, 558 999985.



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

ქ. თბილისის მერიას

ცხელი ხაზი: **0322 72 22 22**

მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ., 7

ელ-ფოსტა: info@tbilisi.gov.ge



0+



0-6



6-18



18+



ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაცია

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ოპენ სოციალიზმისათვის საქართველოში

რა არის ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამა?

მომსახურება, რომელიც გულისხმობს ბავშვის სპეციფიკურ რეაბილიტაციას და აბილიტაციას, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას.

ვისთვის არის ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამა?

- 3 წლისა და მეტი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისათვის, რომელთაც აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან ერთ-ერთი მაინც: ბავშვთა ცერებრული დამბლა, სპინური კუნთოვანი ატროფია და მასთან დაკავშირებული სინდრომები, კუნთოვანი დისტროფია, თანდაყოლილი მიოპათიები, კუნთების სხვა (მათ შორის, დაუზუსტებელი) პირველადი დაზიანები, ჰემი, პარა და ტეტრაპლეგიის, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების შედეგები, ანთებითი პოლინეიროპათიების შედეგები, პერიფერიული ნერვული სისტემის სამშობიარო ტრავმის შედეგები;
- აგრეთვე ამავე მდგომარეობის მქონე (შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის არმქონე) 3 წლამდე ასაკის ბავშვისათვის.

რა შედის მომსახურებაში?

- ინდივიდუალური აბილიტაციის/რეაბილიტაციის წლიური გეგმის შედგენა;
- თერაპიული კურსი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ თერაპიას, ოკუპაციურ თერაპიას, მეტყველებისა და ენის თერაპიას, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგის მომსახურებას, ქცევით თერაპიას;
- მშობელთა, მინდობით აღმზრდელთა, კანონიერ წარმომადგენელთა განათლება;



- ექიმის მეთვალყურეობა, რაც მოიცავს ასევე ბავშვთა ნევროლოგიურ გასინჯვას;
- საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ფსიქოლოგიური დახმარება;
- რეაბილიტაცია, რომელიც მოიცავს შესაბამისი სპეციალისტის კონსულტაციას, სამკურნალო მასაჟს, ფიზიოთერაპიულ მანიპულაციებს, ფიზიკურ თერაპიას.

! **შენიშვნა:** ფინანსდება არანაკლებ 22 სეანსი, რომელიც გადანაწილდება ინდივიდუალურად და მოიცავს პროგრამით განსაზღვრულ ყველა მომსახურებას. სეანსების წლიური გრაფიკი განისაზღვრება მომსახურების მიმწოდებლებთან შეთანხმებით.

რა არის საჭირო მომსახურების მისაღებად?

- ვაუჩერის ტალონების მიღება, რაც წარმოადგენს მომსახურების დაფინანსების საშუალებას.
- ვაუჩერის ტალონების წარდგენა ორგანიზაციაში, რომელიც არის ოფიციალურად რეგისტრირებული აღნიშნული მომსახურების მიმწოდებელად (მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები იხილეთ თანდართულ რუკაზე).

რა ნაბიჯების გავლაა საჭირო ვაუჩერის ტალონების მისაღებად?

ნაბიჯი 1: განაცხადის წარდგენა

მშობელი, ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენელი, მინდობით აღმზრდელი ან სააღმზრდელო დაწესებულებამომსახურების მიმწოდებელთან წარადგენს:

- ✓ განცხადებას (ივსება მომსახურების მიმწოდებელთან);
- ✓ პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლს;
- ✓ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს;

- ✓ ბავშვის ჯანმრთლობის მდგომარეობის შესახებ ცნობას (ფორმა №100/ა);
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ცნობას და მის ასლს;
- ✓ ინდივიდუალური აბილიტაციის/რეაბილიტაციის წლიურ გეგმას (არსებობის შემთხვევაში).

! **შენიშვნა:** სხვა კანონიერი წარმომადგენელი დამატებით წარადგენს შესაბამის დამადასტურებელ საბუთს და მის ასლს, სააღმზრდელო დაწესებულება - დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობით მიმართვას, ხოლო მინდობით აღმზრდელი - მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლს.

ნაბიჯი 2: განაცხადის განხილვა:

მომსახურების მიმწოდებელი განსაზღვრავს თუ რამდენად შეესაბამება ბავშვი პროგრამის სამიზნე ჯგუფს და ინდივიდუალური აბილიტაცია/რეაბილიტაციის წლიურ გეგმას წარადგენს სააგენტოში დოკუმენტების ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღეში.

სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.

! **შენიშვნა:** პროგრამაში ჩართვის უპირატესობით სარგებლობენ:

- რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახის ბავშვები;
- მინდობით აღზრდაში/სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფი ბავშვები;
- გადაუდებელი საჭიროების მქონე ბავშვები (ორთოპედიული ოპერაციის შემდგომი პერიოდი);
- ბავშვები, რომლებიც ამ მომსახურებით სარგებლობდნენ წინა 12 თვის განმავლობაში;
- 5 წლამდე ასაკის ბავშვები;



- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული 100 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ბავშვები, განცხადების თარიღის რიგითობის მიხედვით.

ნაბიჯი 3: ვაუჩერის ტალონების მიღება

მომსახურების ანაზღაურება ხდება ვაუჩერით, რომელიც ანაზღაურდება არაუმეტეს 308 ლარის ფრგლებში;

ანაზღაურების აუცილებელი პირობაა მომსახურების ათდღიანი კურსის 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ჯამში არანაკლებ 22 სეანსის ჩატარება, რომელიც უნდა მოიცავდეს ყველა ღონისძიებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაუჩერი არ ანაზღაურდება.

! **შენიშვნა:** მომსახურების მიღება ნყდება კურსზე ზედიზედ 30 კალენდარული დღის ვადაში გამოუცხადებლობის ან კურსით გათვალისწინებული მომსახურების 30 კალენდარული დღის ვადაში სრულად გამოუყენებლობის შემთხვევაში.

ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

საქართველოში ბავშვთა არეაბილიტაცია/აბილიტაციის მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულია 14 ორგანიზაცია.

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები იხილეთ თანდართულ რუკაზე.



ქუთაისი

ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი
„ნაიო“
დუმბაძის ქ., 59;
593311791;
zaza_pataridze@hotmail.com



გურჯაანი

შპს „ოქროს ველი“
თამარ მეფის, 5;
599551181;
ltd_oqrosveli@mail.ru



ქობულეთი

შპს „უნიმედი აჭარა“
დაბა ჩაქვი, თამარ მეფის 40–ის
მიმდებარედ;
599575037 / 599762520;
mtskomelidze@evex.ge



ბათუმი

ააიპ აბილიტაციის და
განვითარების ცენტრი
ე. თაყაიშვილის ქ., 45;
599006009,;
ingazarandia@gmail.com



თელავი

შპს ბავშვთა ჯანმრთელობის
ცენტრი
ალადაშვილის 2;
599502127 / 00350273791;
telavisbavshvta@yahoo.com



მარნეული

შპს ქვემო ქართლის
სარეაბილიტაციო ცენტრი
გიორგაძის ქ.;
593 003 004;
i.tananashvili004@gmail.com




გორი

შპს შიდა ქართლის
სარეაბილიტაციო ცენტრი
ჭავჭავაძის 24/ა;
555445844;
d.gogiashvili@gmail.com



შპს „პროფესორი“

26 მაისის ქუჩა;
599428222;
ninoimer@yahoo.fr



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: 1505

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები

და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:

<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



კოხლარული იმპლანტით უზრუნველყოფა (დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა)

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



რა არის კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის პროგრამა?

პროგრამის მიზანია კოხლეარული იმპლანტაციის საჭიროების მქონე ადამიანების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მისი საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

ვისთვის არის კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის პროგრამა?

- აბსოლუტური სიყრუის მქონე და ყრუ-მუნჯი 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის;
- 6 წლისა და მეტი ასაკის პირებისთვის, თუ სამედიცინო დასკვნის თანახმად, ნაჩვენებია კოხლეარული იმპლანტაციის ოპერაცია.

რა შედის მომსახურებაში?

- კოხლეარული იმპლანტის შექმნა;
- რეაბილიტაცია, რომელიც გულისხმობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მიერ სარეაბილიტაციო კურსის ჩატარებას არანაკლებ 12 თვის განმავლობაში, რაც, თავის მხრივ, მოიცავს:
 - ოპერაციის შემდგომ, პერიოდულად, კოხლეარული იმპლანტის მორგება-რეგულირებას;
 - ლოგოპედის (მეტყველების თერაპევტის) მომსახურებას, მომსახურების მიმღებებისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

რა ნაბიჯების გავლას საჭირო კოხლეარული იმპლანტის მისაღებად?

ნაბიჯი 1: განაცხადის წარდგენა:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან კანონიერი წარმომადგენელი ან მინდობით აღმზრდელი სოციალური მომსახურების სააგენტოში წარადგენს:



- განცხადებას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პირადობის მონმობის ან პასპორტის ასლს;
- 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემთხვევაში, დაბადების მონმობის ასლს (პირადობის მონმობის არქონის შემთხვევაში);
- კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის მონმობის ან პასპორტის ასლს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლს;
- სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემონმების აქტი (ფორმა №IV-50/2), სადაც მითითებული იქნება კოხლარული იმპლანტის საჭიროება;

! **შენიშვნა:** სხვა კანონიერი წარმომადგენელი დამატებით წარადგენს შესაბამის დამადასტურებელ საბუთს და მის ასლს, ხოლო მინდობით აღმზრდელი - მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლს.

ნაბიჯი 2: დაფინანსების მიღება

თითოეულ პირისთვის განეული მომსახურება არ უნდა აღემატებოდეს:

- ერთი კოხლარული იმპლანტის ღირებულება - 35 920 ლარს;
- ოპერაციის შემდგომ, პერიოდულად კოხლარული იმპლანტის მორგება-რეგულირების ღირებულება რეაბილიტაციის პერიოდში - 3 000 ლარს.


ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

საქართველოში კოხლარული იმპლანტის მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულია 1 ორგანიზაცია:

შპს „კინდ-სმენა“

მისამართი: თევდორე მღვდლის ქ., 13

ტელეფონი: 0322 34 52 55



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: 1505

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები
და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:
<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



საპროთეჯო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფა (დახმარა საშუალებებით უზრუნველყოფა)

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ოპენ სოციალური დაცვისათვის



რა არის საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამა?

პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებების საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების/ბავშვების დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

რა შედის მომსახურებაში?

- ქვედა კიდურის ყველა დონის ამპუტირების შემთხვევაში, ქვედა კიდურების პროთეზების შერჩევა, დამზადება და მორგება;
- ზედა კიდურის ყველა დონის ამპუტირების შემთხვევაში, პროთეზის შერჩევა, დამზადება და მორგება;
- ორთეზების შერჩევა, დამზადება და მორგება;
- საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის მიღებიდან 12 თვის განმავლობაში საგარანტიო მომსახურება მისი გამოცვლის ჩათვლით, თუ შესაბამისი ნაწარმის მწყობრიდან გამოსვლა არ უკავშირდება ფიზიოლოგიურ ცვლილებას, დაავადებას ან ტრავმით გამოწვეულ ცვლილებას, წინასწარგანზრახულ დაზიანებას, ან არადანიშნულებისამებრ გამოყენებას;
- ინდივიდუალური ტრენინგებისა და სპეციალური სწავლების ჩატარება საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებების უსაფრთხო და ხანგრძლივი ექსპლუატაციის მიზნით.



რა ნაბიჯების გავლაა საჭირო საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებების მისაღებად?

ნაბიჯი 1: განაცხადის წარდგენა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ან მისი კანონიერი წარმომადგენელი, ან მინდობით აღმზრდელი სოციალური მომსახურების სააგენტოში წარადგენს:

- განცხადებას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პირადობის მოწმობის, ან პასპორტის ასლს;
- 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემთხვევაში, დაბადების მოწმობის ასლს (პირადობის მოწმობის არქონის შემთხვევაში);
- კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის მოწმობის, ან პასპორტის ასლს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლს (გარდა 3 წლამდე ასაკის ბავშვების ორთეზის საჭიროებისა);
- ფორმა №IV-50/2-ს, სადაც მითითებული იქნება საპროთეზო-ორთოპედიული საშუალების საჭიროება;
- ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტს ან ცნობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

! **შენიშვნა 1:** სხვა კანონიერი წარმომადგენელი დამატებით წარადგენს შესაბამის დამადასტურებელ საბუთს და მის ასლს, ხოლო მინდობით აღმზრდელი - მინდობით აღმზრდის ხელშეკრულების ასლს.

ნაბიჯი 2: ვაუჩერის ტალონების მიღება

- საქონლის (მომსახურების) ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება ვაუჩერი;
- ვაუჩერის ღირებულების 100 % ით ფინანსებიან:
 - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები;
 - სპეციალიზებულ სადღეღამისო დაწესებულებებში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მცხოვრები ბენეფიციარები;
 - „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით განსაზღვრული პირები;
 - პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები;
 - „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;
- დანარჩენი პირები ფინანსდებიან საქონლის ფაქტობრივი ღირებულების 90 %-ით.



ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

საქართველოში საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულია 4 ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამით გათვალისწინებული პროდუქციის დამზადებაზე და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებაზე.

საპროთეზო-ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი

მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ., 43^ა
ტელეფონი: 0322 520073, 0322 522899

შპს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“

მისამართი: ქ. თბილისი, კედიას ქ., 7
ტელეფონი: 0322 348047, 0322 348379)

შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“

მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. № 2/6
ტელეფონი: 0322 526649, 0322 527889

შპს აკად. ო. ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ., 18/20
ტელეფონი: 0322 518778

მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას.

პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯამრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი, 144, თბილისი

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს


ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები

და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:

<http://ssa.gov.ge/>



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები

და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:

<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



დღის ცენტრი

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რა არის დღის ცენტრების პროგრამა?

მომსახურება, რომელიც ხელს უწყობს გარკვეული საჭიროების მქონე ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახების მხარდაჭერას და ბავშვთა მიტოვების პრევენციას, არაფორმალური განათლების მიწოდების გზით.

ვისთვის არის დღის ცენტრების პროგრამა?

- ბავშვისათვის, რომელიც იღებს რეინტეგრაციის შემნეობას;
- 6-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისთვის, მათ შორის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე, ასევე ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისთვის ;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის.

რა შედის მომსახურებაში?

ყოველდღიური მომსახურების განწევა, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, რომელშიც შედის:

- ორჯერადი კვება, საიდანაცერო-ერთიარის სამკომპონენტისანი სადილი;
- აკადემიური საჭიროებების გამოვლენა და მათი დაკმაყოფილება;
- საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება;
- კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვა;
- დროის სწორი ორგანიზების, ეფექტისანი კომუნიკაციის, არჩევანის გაკეთების, გადწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარების უნარ-ჩვევების სწავლება;

- საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების განწევა;

მომსახურებაში დამატებით შედის:

- ტრანსპორტირება - ცენტრში მიყვანა და შინ დაბრუნება;
- წლიური ინდივიდუალური აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამის შედგენა, განხორციელება და განახლება;
- ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა;



შენიშვნა: მომსახურება არ უნდა იყოს დღეში 3 საათზე ნაკლები.

მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების მომსახურებაში დამატებით შედის:

- ფსიქო-მოტორული განვითარებისა და სოციალური უნარების შეფასება სპეციალური მეთოდოლოგიით;
- შეფასება და რეაბილიტაცია/აბილიტაციის გეგმის შემუშავება/განხორციელება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ (ფსიქოლოგი, პედიატრი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური მასწავლებელი, მომვლელი);
- ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ოკუპაციური თერაპიის მიწოდება;
- ვერბალური/ალტერნატიული კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობა;
- დახმარება კვების, საპირფარეშოს, პირადი ჰიგიენის დაცვის პროცესში;
- ქცევითი დარღვევების შეფასება და ქცევის მართვის სპეციალიზებული გეგმის შემუშავება და განხორციელება;
- ცენტრში მიყვანისა და შინ დაბრუნების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

! **შენიშვნა:** ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) მომსახურების ხანგრძლივობა შეადგენს 6 საათს.

რა არის საჭირო მომსახურების მისაღებად?

- ვაუჩერის ტალონების მიღება, რაც წარმოადგენს მომსახურების დაფინანსების საშუალებას.
- ვაუჩერის ტალონების წარდგენა იმ ორგანიზაციაში, რომელიც ოფიციალურადაა რეგისტრირებული მომსახურების მიმწოდებელად.

რა ნაბიჯების გავლას საჭირო ვაუჩერის ტალონების მისაღებად?

ნაბიჯი 1: განაცხადის წარდგენა

ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სოციალური მომსახურების სააგენტოში წარადგენს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- განმცხადებლის პირადობის მონმობის ან პასპორტის ასლს;
- კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელ საბუთს და მის ასლს;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა);

! **შენიშვნა:** მძიმე დაღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის, დღის ცენტრის მომსახურების მისაღებად, დამატებით საჭიროა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ცნობის-ფორმა №IV-50/2 - ასლი.

ნაბიჯი 2: განაცხადის განხილვა

სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი სოციალური მუშაკი იღებს გადაწყვეტილებას დღის ცენტრში პირის ჩარიცხვაზე, მის მიერ შევსებული/ხელმოწერილი ანკეტის საფუძველზე.

! **შენიშვნა:** დღის ცენტრში ჩარიცხვა ხდება მომლოდინეთა სიის შესაბამისად, რიგითობის პრინციპის დაცვით, შემდეგი თანმიმდევრობით:

- რენტიგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვები;
- მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები;
- პირები, რომლებიც ამ მომსახურებით სარგებლობდნენ წინა 12 თვის განმავლობაში;
- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების ბავშვები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა ყველაზე უფრო დაბალი აქვთ მომსახურების თაობაზე განცხადების წარდგენის დღისთვის.

ნაბიჯი 3: ვაუჩერის ტალონების მიღება

სააგენტოს მიერ გაიცემა ვაუჩერის ტალონები 12 თვის ვადით, ან საჭიროებიდან გამომდინარე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის 18 წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მოქმედების ვადით.

ვაუჩერი გადაეცემა უშუალოდ მომსახურების მიმღებს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, არაუგვიანეს გადაწყვეტილების მიღების მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით. შესაბამისი თვის ტალონი მომსახურების მიმწოდებელს უნდა წარედგინოს ყოველი თვის 10 რიცხვის ჩათვლით.

ნაბიჯი 4: ვაუჩერის მიღების შეწყვეტა

ვაუჩერის მიღება შესაძლებელია შეწყდეს შემდეგი მიზეზების გამო:

- საკუთარი სურვილით, არასრულწლოვანის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის სურვილით;
- შშმ სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერებისას;
- ვაუჩერის ზედიზედ 2 თვის გამოუყენებლობის შემთხვევაში, გარდა შესაბამისი დღის ცენტრის ფუნქციონირების დროებით შეჩერების (საზაფხულო არდადეგების ან/და რეაბილიტაციის მიზნით დახურვა) შემთხვევებისა.

ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

საქართველოში დღის ცენტრებით მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულია 60 ორგანიზაცია. აქედან:

- 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის - 37;
- 18 წლიდან ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის - 20;
- მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის - 2.

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები იხილეთ თანდართულ რუკაზე.

18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებლები (2016 წლის მონაცემებით)



თბილისი

ასოციაცია „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“

ვაჟა-ფშაველას გამზ.76 ბ, მე-3 სართული, ბინა 39; 555 71 56 09

ასოციაცია „ანიკა“

თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, მე-3 კვარტალი; 599 51 05 95

„ახალი ნაბიჯები“

ვარკეთილი 3, 3მ/რ, 180-ე საჯარო სკოლა; 599 53 16 50 / 577 33 16 50

„ბავშვი და გარემო“

აბასთუმნის ქ., 4; 593 31 13 66 / 593 72 99 01

დღის ცენტრი „გენი“

ძველი თბილი სისრაიონი, ფხოვის, 3; 577 40 24 08

დღის ცენტრი „ნუცას სკოლა“

ნუცუბიძის მე-3 მკრ, პირველი კვ, კორპ. 7, ბ. 23; 599 32 76 85

თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი

ბორჯომის ქ., 10; 577 17 22 44

დღის ცენტრი „ია“

გლდანი, მე-4 მ/რ, კორპ. 113, ბ. 27; 555 50 55 49

მშობელთა ხიდი

ჩიქობავას, 27; 577 47 34 40

პირველი ნაბიჯი საქართველო ლუბლიანას ქ., 21; 568 18 55 11

სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი „აისი“

ჩიქვანაიას, 21; 599 97 39 17

ბათუმი

**ბათუმის განათლების,
განვითარებისა და დასაქმების
ცენტრი**

თამარ მეფის გამზ. პირველი
შესახვევი N4; 593730293

**სამედიცინო ასოციაცია
„თანა“**

სათნოების ქუჩის I ჩიხი N5;
577 10 79 15 / 599 58 59 88

გორი

**კეთილდღეობისა და
განვითარების ცენტრი**

თარხნიშვილის, 20; 599 79 25 72

ზესტაფონი

კავშირი „ორიონი“

წერეთლის ქ., 2;
599 13 31 81/595 58 02 57

ზუგდიდი

**ინვალიდ ბავშვთა და
მოზარდთა რეაბილიტაციის
ხელშეწყობა „ნერგები“**

რუსთაველის 192; 593 34 25 94

თელავი

**ინვალიდთა სოციალური
დახმარების ფონდი „ახალი
სიცოცხლე“**

ჩოლოყაშვილის ქ., 37;
599 56 74 26

**შპს „თელავის ფსიქო-
ნევროლოგიური დისპანსერი“**

ალადაშვილის 2; 593 34 25 94

თერჯოლა

**თერჯოლის უნარშეზღუდულ
ბავშვთა სასწავლო-
სარეაბილიტაციო ცენტრი**

„იმედის სხივი“
რუსთაველის, 166;
577 17 22 44

**ქუთაისის განათლების,
განვითარების და დასაქმების
ცენტრი**

ოთხიმის ქ., 13;
595 42 94 42/ 593 33 14 01

მცხეთა

შპს „მომავლის რწმენა 2009“

მამულაშვილის ქ. 10;
557 01 11 22

ოზურგეთი

**საქველმოქმედო ასოციაცია
„გურია“**

კოსტავას ქ., 123;
555 94 64 66 / 0496275199

რუსთავი

**ნერვული დაავადებებით
დაავადებული ბავშვების
მშობელთა ასოციაცია**

მე-6 მ/რ, ფალიაშვილის ქუჩის
მიმდებარე ნაკვეთი N89;
597 20 32 34

დღის ცენტრი

„ფოთოლცვენა 2002“
შევჩენკოს ქ., 5; 597146146

საგარეჯო

დღის ცენტრი „მზე სწორად მოეფინება“

კახეთის გზატკეცილი 80-ა;
593 24 64 54

სამტრედია

ქუთაისის განათლების,
განვითარების და დასაქმების
ცენტრი

ჭანტურიას ქ., 72,
N1 ბაგა-ბალი;
595 42 94 42/ 593 33 14 01

საჩხერე

საქართველოს ყრუთა კავშირი
გორგასალის, 6; 577 45 66 15

სიღნაღი

სიღნაღის მრავალშვილიან
დედათა და უნარშეზღუდულ
ბავშვთა დახმარების

კომიტეტი
წნორი, რუსთაველის, 43;
595 54 07 18

ფოთი

ააიპ „კოალიცია სოციალური
რეფორმებისათვის“

წმ. გიორგის, 56; 593 14 78 05

ქარელი

ააიპ „კეთილდღეობისა და
განვითარების ცენტრი“

ვაჟა-ფშაველას ქ., 19;
599 79 25 72

ქუთაისი

განვითარებისა და
სოციალური რეაბილიტაციის
ცენტრი „თაირისი“

ახალგაზრდობის გამზირი
მე-3 შეს N4; 577 17 22 44

ქუთაისის განათლების,
განვითარების და დასაქმების
ცენტრი

დუმბაძის, 59-61; 595 42 94 42

„ხიდი სოციალური
ინკლუზიისთვის“

ხარებავას, 41; 568 11 95 00

ჩოხატაური

განათლების ცენტრი

წერეთლის, 3; 577 62 48 48

ჩხოროწყუ

იმედი - 3

ჭავჭავაძის ქ., 12; 551 15 82 44

წალენჯიხა

საბა+2011

სოფ. ენერი;
592 90 06 86 / 591 05 62 39

18 წლიდან ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებლები (2016 წლის მონაცემებით)



თბილისი

**ავადმყოფთა მომსახურე
სასულიერო პირთა ორდენის
(კამილიელების) ფილიალი
საქართველოში**
თემქა 11მ/რ, მე-2 კვ,
ანაპის 414 დივიზიის 11;
260 07 03

**ასოციაცია „ბავშვი, ოჯახი,
საზოგადოება“**
ვაჟა-ფშაველას გამზ.76 ბ, მე-3
სართული, ბინა 39; 555 71 56 09

ასოციაცია „ანიკა“
ცოტნე დადიანის ქ., 136;
599 51 05 95

დღის ცენტრი „გენი“
ძველი თბილისის რაიონი,
ფხოვის ქ., 3; 577 40 24 08

**თავისუფალი პედაგოგიკის
ცენტრი**
ბორჯომის ქ., 10; 599 56 47 21

დღის ცენტრი „თაობა“
ნუცუბიძის 187ა; 253 74 48

დღის ცენტრი „ია“
გლდანის მე-4მ/რ, კორპ. 113, ბ. 1ბ;
555 50 55 49

**კავშირი ადამიანებისათვის
განსაკუთრებულ ზრუნვას
რომ საჭიროებენ**
კობარეთის ქ., 7; 277 54 85

„მშობელთა ხიდი“
გოცირიძის ქ., 2;
230 93 21

**სარეაბილიტაციო და
სოციალური ადაპტაციის
ცენტრი „აისი“**
ჩიქვანაიას ქ., 21; 599 97 39 17

საქართველოს ყრუთა კავშირი
მაიაკოვსკის ქ., 6;
577 45 66 15

თბილისი

საქველმოქმედო ფონდი
„საქართველოს კარიტასი“
თორნიკე ერისთავის ქ., 2;
591 22 97 01

სმენისა და მეტყველების
დარღვევის მქონე ბავშვთა
დახმარების ასოციაცია
ვაჟა-ფშაველას 73, მე-3 კვ, 1ბ
კორპ, ბინა 14; 599 51 33 97

ფსიქიკური ჯანმრთელობის
ასოციაცია
კონსტიტუციის ქ., 2; 231 76 41

თელავი

დღის ცენტრი „ალტერ ეგო“
მაგამედოვის ქ., 10; 593 34 25 94

ინვალიდთა სოციალური
დახმარების ფონდი „ახალი
სიცოცხლე“
ჩოლოყაშვილის ქ., 37;
599 56 74 26

რუსთავი

ნერვული დაავადებებით
დაავადებული ბავშვების
მშობელთა ასოციაცია
მე-6 მ/რ, ფალიაშვილის ქუჩის
მიმდებარე ნაკვეთი N89;
597 20 32 34

ქუთაისი

ქუთაისის ფსიქო-სოციალური
რეაბილიტაციის ცენტრი
ნინოშვილის ქ., 7, მე-12 ჩიხი;
599 18 21 02

შპს ბენეფიციართა დღის
ცენტრი „ვალენტინი“
ნიკეას ქ., 12; 599 21 28 44

გურჯაანი

Life Line
ერეკლე მეორის ქ., 15;
555 38 55 83

მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებლები (2016 წლის მონაცემებით)



თბილისი

პირველი ნაბიჯი საქართველო
ლუბლიანას ქ., 21; 568 18 55 11

ქუთაისი

ხიდი სოციალური
ინკლუზიისთვის
ხარებავას ქ., 41; 568 11 95 00



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: 1505

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები

და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:

<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლა

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



რა არის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლა?

მომსახურება, რომელიც მიეწოდება მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებს და გულისხმობს ბინაზე მოვლის მომსახურების მიწოდების ფარგლებში ბავშვთა რეაბილიტაციასა და ფიზიკური, ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ვისთვის არის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის პროგრამა?

7-დან 18 წლამდე ასაკის მძიმე და ღრმა გონებრივი შეფერხების მქონე ბავშვებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია/შეუსაბამოა დღის ცენტრის მომსახურებაში მათი ჩართვა.

! შენიშვნა: პროგრამა მოქმედებს მხოლოდ ქ. თბილისში და შესაძლებელია მაქსიმუმ 40 ბავშვის ჩართვა.

რა შედის მომსახურებაში?

- ინდივიდუალური მომსახურების გეგმის (გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების) შედგენა, რომელიც უნდა მოიცავდეს ბავშვისთვის/მშობლისათვის ფსიქოლოგიური დახმარების განვებას, სოციალური, თვითმოვლისა და კომუნიკაციური უნარების გაძლიერებასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას;
- ბავშვის განვითარების შეფასება და მომსახურების მიწოდება, რომელიც ითვალისწინებს თვეში მომვლელის - 36 საათის (საშუალოდ, 4 საათი, კვირაში ორჯერ), განვითარების სპეციალისტის - 5 საათის და მულტიდისციპლინური გუნდის



სპეციალისტ(ებ)ის (ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, პედიატრი, სოციალური მუშაკი) - თვეში 3 საათის მომსახურებას, სულ - არაუმეტეს 44 საათისა. ამასთან, მომსახურებაში შედის:

- ✓ ბავშვის განვითარების შეფასება და რეაბილიტაციის/აბილიტაციის გეგმის შემუშავება/განხორციელება;
- ✓ ვერბალური/ალტერნატიული კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ მოვლა და დახმარება კვების, საპირფარეშოს, პირადი ჰიგიენის დაცვის პროცესში;
- ✓ ბავშვისა და ოჯახის წევრებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება და მხარდაჭერა;
- ✓ ბავშვის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარება;
- ✓ ბავშვის პოზიტიური ქცევის მხარდაჭერა;
- ✓ ბავშვის და ოჯახის წევრების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ✓ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი.

რა ნაბიჯების გავლას საჭირო ვაჟნარის ტალონების მისაღებად?

ნაბიჯი 1: განაცხადის წარდგენა

ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი განაცხადებით მიმართავს მომსახურების მიმწოდებელს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;

- ბავშვის დაბადების მონმობის, ან პირადობის მონმობის ასლი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი მონმობის ასლი;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-50/2), რომელშიც ძირითადი დიაგნოზის პუნქტში აღნიშნული უნდა იყოს მძიმე ან ღრმა ან სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა თანმხლებ დიაგნოზთან ერთად და მითითებული იყოს მომვლელის საჭიროება).

ნაბიჯი 2: მომსახურების მიმწოდებლის მიერ განცხადების განხილვა

- მიმწოდებელი უზრუნველყოფს:
 - ბავშვის განვითარების შეფასებას, ქვეპროგრამით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფისადმი კუთვნილების დადგენას და ბავშვის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შემუშავებას;
 - ინდივიდუალური მომსახურების გეგმის სააგენტოში წარდგენას, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის მანძილზე, სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით.

ნაბიჯი 3: სააგენტოს მიერ განცხადების დამუშავება:

- სააგენტო, მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ბავშვის პროგრამაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ყოველი თვის 5 რიცხვამდე.
- პროგრამაში ჩართვის უპირატესობით სარგებლობენ ბავშვები შემდეგი თანმიმდევრობით:
 - რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვები;
 - განცხადების თარიღის რიგითობის მიხედვით;



- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების ბავშვები;
- მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები.

ნაბიჯი 4: ვაუჩერის ტალონების მიღება

ქვეპროგრამის ფარგლებში მიწოდებული მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება ვაუჩერი, რომელიც განკუთვნილია მომსახურების დაფინანსებისათვის არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში.

ნაბიჯი 5: ვაუჩერის მიწოდების შეწყვეტა

- ზედიზედ, 30 დღის მანძილზე ვაუჩერის გამოყენებლობა იწვევს ვაუჩერის ავტომატურად გაუქმებას, გარდა მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციონირების დროებით შეჩერების შემთხვევებისა. ამ შემთხვევაში, უნდა მოხდეს ბავშვის პროგრამაში ხელახლა ჩართვა ყველა აუცილებელი პროცედურის გავლით.
- 18 წლის ასაკის მიღწევასა და მომსახურება დაუყოვნებლივ წყდება, თუკი:
 - მოხდა ბავშვის ჩართვა საგანმანათლებლო სისტემაში ან დღის ცენტრის პროგრამაში
 - ბავშვი გადავიდა პალიატიურ ზრუნვაში;
 - ბავშვი გადავიდა სააღმზრდელო დანესებულებაში;
 - კანონიერი წარმომადგენლის სურვილით;
 - საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზით, რაც სცილდება მომსახურების არეალს.

ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

თბილისში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულია 2 ორგანიზაცია:

სტუდია ეიდისი

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას, 76^ბ

ტელეფონი: 591 099979

E-mail: studioadc_ge@yahoo.com

პირველი ნაბიჯი საქართველო

მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ., 21^ბ

ტელეფონი: 0322 603604

E-mail: fsg@firststepgeorgia.org



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები

და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:

<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



ინკლუზიური ზოგადი განათლება

განათლება



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ოპენ საზოგადოება საქართველო

რას გულისხმობს ინკლუზიური განათლება ზოგადი განათლების სისტემაში?

საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 (თორმეტი) წელს და შედგება სამი საფეხურისგან: დაწყებითი (1-6 კლასი), საბაზო (5-9 კლასი) და საშუალო (10-12 კლასი). საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა ყველა ბავშვისათვის. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება აქვთ იმ ბავშვებს, რომელთაც სწავლის დაწყებისთვის უსრულდებათ 6 (ექვსი) წელი.

ინკლუზიური განათლება არის ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, სადაც სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინდივიდის საგანმანათლებლო საჭიროება, მიუხედავად მისი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.

რა პროცედურის გავლაა საჭირო ბავშვის სკოლაში ჩასარიცხად?

პირველკლასელთა (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა) სკოლაში რეგისტრაცია და ჩარიცხვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.emis.ge, ონლაინ რეგისტრაციის საფუძველზე (საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია). აღნიშნული წესი ვრცელდება მხოლოდ პირველ კლასელთა ჩარიცხვაზე.

ბავშვის ჩასარიცხად, როგორც პირველ, ისე სხვა კლასებში, აუცილებელია უშუალოდ სკოლისათვის დოკუმენტების წარდგენა. დოკუმენტების ნუსხა იხილეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №675 ბრძანებაში „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (<https://emis.ge/acts/675brdzaneba.pdf>).



შენიშვნა: პირველკლასელთა საყოველთაო ელექტრონულ რეგისტრაციამდე, მშობლის მიმართვის საფუძველზე, სკოლის მიერ რეგისტრირდება მხოლოდ ის ბავშვი:

- რომლის და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში;
- რომლის მშობელიც სკოლის თანამშრომელია;
- რომლის ოჯახიდანაც ერთდროულად ორი, ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

რა დამატებითი დოკუმენტების სკოლისათვის წარდგინის საჭიროება შესაძლოა გაჩნდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შემთხვევაში?

1. ცნობა მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა);
2. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შეფასების დასკვნა.
 - ა) სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის შემთხვევაში, აუდიოლოგის დასკვნა სმენის დარღვევის ხარისხის შესახებ;
 - ბ) მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის შემთხვევაში, ოფთალმოლოგის დასკვნა მხედველობის ხარისხის შესახებ;

ვინ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე?

მოსწავლე, რომელსაც აქვს გამოხატული სირთულეები სწავლის პროცესში და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

- ა) ფიზიკური დარღვევა;
- ბ) ინტელექტუალური დარღვევა;
- გ) სენსორული დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
- დ) მეტყველების დარღვევა;

- ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- ზ) სწავლის სირთულეებით სოციალური ფაქტორების გამო და ამ მიზეზით ვერ სძლევს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;

როგორ განისაზღვრება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი?

შესაძლოა ბავშვის სკოლაში შესვლამდე, ან სკოლაში სწავლის პერიოდში გაჩნდეს ვარაუდი, ან უკვე არსებობდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. როდესაც ვლინდება სწავლასთან, სოციალიზაციასთან და/ან ქცევასთან დაკავშირებული სირთულე, მულტიდისციპლინური გუნდის მხარდაჭერის მიღების მიზნით, თავად მშობელი ან სკოლა, მშობელთან შეთანხმებით, წერილობით მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომდგენლის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების სამმართველოსათვის მიმართვის ფორმა“ ხელმისაწვდომია სკოლებში, ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს ცენტრებში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მისაღებში.

მულტიდისციპლინური გუნდის წევრები მშობელთან შეთანხმებით აფასებენ ბავშვის უნარებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს, სხვადასხვა ტესტებით და დავალებებით. ესაუბრებიან მშობელს და ამის საფუძველზე ამზადებენ წერილობით დასკვნას ბავშვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის შესახებ. თუ ბავშვი ჯერ სკოლაში არ დადის, ისინი მშობელს უწევენ რეკომენდაციას სკოლის შერჩევასთან დაკავშირებით. მულტიდისციპლინური გუნდის წერილობითი დასკვნისა და რეკომენდაციებით მშობელი მიდის სკოლაში და სკოლის ადმინისტრაციასთან, სკოლის ფსიქოლოგთან და/ან სპეციალური განათლების პედაგოგთან ერთად, გეგმავს ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვის პირველ ნაბიჯებს.



შესაბამისად, მულტიდისციპლინური გუნდის ძირითადი ფუნქციებია:

- შეაფასოს მოსწავლე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის დასადგენად და მოამზადოს შესაბამისი წერილობითი დასკვნა და რეკომენდაციები;
- შეფასების საფუძველზე გაუწიოს რეკომენდაცია მშობელს ბავშვისათვის სწავლების საუკეთესო ფორმის შერჩევაზე (სკოლის ჩვეულებრივი ასაკობრივი კლასი, ინტეგრირებული კლასი, სკოლა სპეციალური პროფილით (პანსიონური მომსახურებით ან მის გარეშე), შინ-სწავლება);
- რეგულარული და საჭიროებით განსაზღვრული შეხვედრების ფარგლებში, კონსულტირება გაუწიოს სკოლის პედაგოგებსა და სკოლაში მომუშავე სპეციალისტებს (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, ლოგოპედი).

თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია, ან მან გარკვეული მიზეზების გამო გამოტოვა კლასი/კლასები, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მას უფლება აქვს, ჩაირიცხოს სკოლაში ან სწავლა გააგრძელოს ექსტერნატის ფორმით, გამოცდების ჩაბარების გარეშე, ასაკის შესაბამის კლასში, ან მაქსიმუმ ორი კლასის ქვემოთ.

რატომ არის მნიშვნელოვანი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრა?

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან სტატუსის არსებობის შემთხვევაში, მოსწავლე ხდება უფლებამოსილი ისარგებლოს საჭირო ინდივიდუალური მხარდაჭერით, როგორცაა სპეციალისტის მხარდაჭერა, ადაპტირებული სასწავლო მასალა/რესურსები, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგამოცდო, საგანმანათლებლო, ფიზიკური და სოციალური გარემო.

რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო შედეგებს, მათი მიღწევის გზებსა და განრიგს მის ინტერესებსა, ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში მონაწილეობენ სკოლაში მომუშავე სპეციალისტების გუნდი (ბავშვის მასწავლებელი, სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი და სხვა სპეციალისტები), მშობელი და ბავშვი. დოკუმენტი აღწერს ბავშვის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს, განსაზღვრავს კონკრეტულ სასწავლო მიზნებს, სტრატეგიებს თითოეული საგნის მიხედვით, სკოლაში სოციალიზაციისა და ქცევის მართვის პოზიტიურ გზებს. ინდივიდუალური გეგმა, საჭიროების შემთხვევაში, ასევე განსაზღვრავს ბავშვის სკოლაში სიარულის ინდივიდუალურ გრაფიკს.

ვინ უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განათლების მიწოდებას?

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება ძირითადად დაწყებითი და/ან საგნის მასწავლებლების ვალდებულებაა, რომელსაც მხარდაჭერას უწევს სკოლაში არსებული დამხმარე სპეციალისტი/ები.

დამხმარე სპეციალისტები არიან: ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და/ან სპეციალური მასწავლებელი და/ან ფსიქოლოგი.

იმ შემთხვევაში თუ სკოლას ჰყავს ერთი, ან მეტი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სკოლას ერიცხება დამატებითი დაფინანსება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან სპეციალისტების, ან სხვა რესურსების უზრუნველსაყოფად.



! **შენიშვნა:** მოსწავლე, რომელსაც აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, შეფასებული უნდა იყოს სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და სკოლაში უნდა არსებობდეს შესაბამისი წერილობითი დასკვნა.

რა ფორმით მიიწოდება ზოგადი განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს?

მშობლისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით ბავშვის შეფასების შემდეგ შესაძლებელია განისაზღვროს ბავშვისათვის ზოგადი განათლების მიწოდების სხვადასხვა ფორმები, კერძოდ:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

- ჩვეულებრივი ასაკობრივი კლასი, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე იღებს ზოგად განათლებას თანატოლებთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში, მისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და/ან საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო.

! **შენიშვნა:** სკოლას შესაძლოა გააჩნდეს რესურს-ოთახის, როგორც დამატებითი დამხმარე რესურსი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, რომლებიც ირიცხებიან ჩვეულებრივ ასაკობრივ კლასში.

- ინტეგრირებული კლასი, სადაც მცირერიცხოვან საკლასო გარემოში მსგავსი ან განსვავებული საჭიროების მქონე მოსწავლეები ეუფლებიან ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში სხვადასხვა საგნობრივ ცოდნასა და უნარებს. ასევე იღებენ ჯგუფურ ან ინდივიდუალურ თერაპიულ და განმავითარებელ მომსახურებებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელიც საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფას უმეტესწილად ინტეგრირებულ კლასში საჭიროებს, ერთვება ჩვეულებრივ ასაკობრივ კლასში საერთო საგაკვეთილო პროცესში, ინდივიდუალური შესაძლებლობის

გათვალისწინებით. ინტეგრირებული კლასის მოსწავლეებსა და სკოლის სხვა მოსწავლეებს ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა ასევე ეძლევათ დასვენებებისა და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების დროს. ინტეგრირებულ კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინტეგრირებული კლასები შექმნილია სენსორული დარღვევის, სხვადასხვა ტიპის დარღვევისა და აუტისტური სპექტრის მქონე დანაწევრებული საფეხურის მოსწავლეებისათვის, კერძოდ:

- სენსორული (სმენის) დარღვევის მქონე დანაწევრებული საფეხურის მქონე მოსწავლეთათვის ქ. თბილისის #64 საჯარო სკოლაში.

კლასს ემსახურება მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, მეტყველების თერაპევტი, სურდოპედაგოგი, ყესტური ენის სპეციალისტი.

- სხვადასხვა ტიპის დარღვევების მქონე დანაწევრებული საფეხურის მქონე მოსწავლეებისათვის ქ. თელავის #9 საჯარო სკოლაში.

კლასს ემსახურება სპეციალური მასწავლებელი, მასწავლებელი, ფსიქოლოგი.

- აუტისტური სპექტრის მქონე დანაწევრებული საფეხურის მოსწავლეებისათვის ქ. თბილისის #166, #72, #41, #132, და თბილისის კლასიკური გიმნაზიის საჯარო სკოლებში, ქ. ბათუმის #13 საჯარო სკოლა. ქ. რუსთავის #21 საჯარო სკოლაში;

კლასს ემსახურება სპეციალური მასწავლებელი, მასწავლებელი, ფსიქოლოგი, დამხმარე სპეციალისტი (ძიძა);

- ინტეგრირებული კლასი მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე მოსწავლეებისათვის. ბავშვები, რომლებიც სწავლობდნენ რეგიონის სკოლებში, ჰოსპიტალიზაციის პერიოდში მობილობის გზით ირიცხებიან ქ. თბილისის #147 საჯარო სკოლაში და აღნიშნული სკოლის მასწავლებლები უზრუნველყოფენ მათთვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებას. ხოლო, თბილისის სკოლის მოსწავლეებისათვის ჰოსპიტალიზაციის პერიოდში საგანმანათლებლო მომსახურებას განაგრძობენ მათივე სკოლის მასწავლებლები.



კლასს ემსახურება დაწყებითი სწავლების მასწავლებელი, ჰუმანიტალური კომპეტენციის მასწავლებელი, ტექნიკური კომპეტენციის მასწავლებელი, საბუნებისმეტყველო კომპეტენციის მასწავლებელი, უცხოური ენების კომპეტენციის მასწავლებელი, ესთეტიკის კომპეტენციის მასწავლებელი, ფსიქოლოგი.

- ✓ მძიმე და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის ქ. თბილისის #218 საჯარო სკოლა (კოჯორი).

! შენიშვნა: საქართველოს ყველა სკოლას შეუძლია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტს წარუდგინონ ინიციატივა, რომ სკოლაში გასხვან ინტეგრირებული კლასი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. სამინისტროს სპეციალურად შექმნილი კომისია განიხილავს განაცხადებებს და წარუდგენს მინისტრს. კომისიის და მინისტრის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაბამისი ხელშეკრულებით სკოლისათვის დაფინანსდება ინტეგრირებული კლასი, უზრუნველყოფილი იქნება სპეციალისტების მომსახურებით, აღიჭურვება დამხმარე სასწავლო რესურსებით, ინვენტარით და ა.შ.

ბ) საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სპეციალური პროფილით პანსიონური მომსახურებით, ან მის გარეშე

სკოლა-პანსიონი არის 24 საათიანი სასწავლო-სააღმზრდელო სპეციალიზებული დაწესებულება. პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლები მოიცავს სააღმზრდელო მომსახურების, მოსწავლეთა ზოგადი განათლების, საცხოვრებელი პირობების, მკურნალობისა და კვების ხარჯების დაფინანსებას მოიცავს.

სპეციალური პროფილის საჯარო სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სპეციალური პროფილის მქონე საჯარო სკოლებია:

- ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა პანსიონური მომსახურების გარეშე - მრავალმხრივი და ინტელექტის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის;

- ქალაქ თბილისის №200 საჯარო სკოლა პანსიონური მომსახურებით - მრავალმხრივი და ინტელექტის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის;
- ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა პანსიონური მომსახურებით - მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის;
- ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლა პანსიონური მომსახურებით - ყრუ და სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლეებისათვის;
- ქალაქ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა პანსიონური მომსახურებით - ყრუ და სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლეებისათვის;
- ქალაქ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა პანსიონური მომსახურებით - მრავალმხრივი და ინტელექტის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის;
- ქალაქ ახალციხის №7 საჯარო სკოლა პანსიონური მომსახურებით - მრავალმხრივი და ინტელექტის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის;
- ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლა პანსიონური მომსახურებით - ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის.

გ) შინ-სწავლება

თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ესაჭიროება ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია, ან ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ დადის სკოლაში, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც, მისთვის ზოგადი განათლების უზრუნველყოფა ხდება შინ სწავლების მეთოდით, სკოლის, მულტიდისციპლინური გუნდის და მშობლის მიერ ერთობლივად მისთვის შედგენილი სპეციალური გეგმის (შერჩეული საგნები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მასწავლებელთა ვიზიტის განრიგი) შესაბამისად. ამ პერიოდში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ ვინაიდან ვერ ესწრება გაკვეთილებს, საგნის მასწავლებელი და/ან სპეციალური მასწავლებელი ახორციელებენ ვიზიტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან.



როგორ იღებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მძიმე მოსწავლე საბაზო განათლების (ეგრეთ წოდებული მე-9 კლასის) აბსტაქს?

თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე/პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლევეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მე-9 კლასის მიღწევის დონეს (მიიღებს დადებით შეფასებას), ამ შემთხვევაში, იღებს მე-9 კლასის ატესტატს. მე-9 კლასის ატესტატის აღება შესაძლებელია გამოცდების ექსტერნის ფორმით ჩაბარების შემთხვევაშიც.

როგორ იღებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სრული ზოგადი განათლების (ეგრეთ წოდებული სკოლის დამთავრების) აბსტაქს?

თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე/პირი დაძლევეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მე-12 კლასის შესაბამის დონეს (მიიღებს დადებით შეფასებას), ამასთანავე ჩააბარებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს, ამ შემთხვევაში, იღებს სკოლის დამთავრების ატესტატს. სკოლის დამთავრების ატესტატის აღება შესაძლებელია გამოცდების ექსტერნის ფორმით ჩაბარების შემთხვევაშიც.

როგორ იღებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადი საშუალო (12 კლასის) განათლების სერტიფიკატს?

თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე/პირი დაძლევეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მე-12 კლასის შესაბამის დონეს, ანუ მიიღებს დადებით შეფასებას თითოეულ საგანში და ვერ ან არ ჩააბარებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს, ამ შემთხვევაში იღებს ზოგადი საშუალო განათლების სერტიფიკატს.

! **შენიშვნა:** ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტები (მე-9 კლასის ატესტატი, სკოლის დამთავრების ატესტატი, 12 კლასის სერტიფიკატი) გაიცემა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში, ან იუსტიციის სახლში.

როგორ აბარებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი გამოსაშვებ გამოცდას?

მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, შეუძლიათ გამოსაშვები გამოცდები ჩააბარონ სკოლებში, რომლის მოსწავლეებიც არიან, ან მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შერჩეულ სპეციალური პროფილის საჯარო სკოლაში.

სკოლები, სადაც ირიცხებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები (მათ შორის სკოლები სპეციალური პროფილით) მათთვის ამზადებენ ინდივიდუალურ საგამოცდო პროგრამას შეიმუშავენ გამოცდის ჩაბარების სპეციალურ პროცედურას, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ ადაპტიურ ფიზიკურ გარემოს და ამზადებენ ადაპტირებულ საგამოცდო მასალას.

როგორ ხდება საგანმანათლებლო გარემოს ადაპტირება და მისანვდომობის უზრუნველყოფა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დასამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ვალდებულია შეასრულოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს მონყოფის სამუშაოები. 2014-2016 წლებში 157 სკოლაში განხორციელდა ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პანდუსი, ლიფტი, სველი წერტილები), მათ შორის 9 სკოლა არის სააგენტოს დაკვეთით ახალაშენებული.



სააგენტოს მიერ სკოლებისათვის პანდუსებისა და სხვა ხელმისაწვდომობის მონაცემები ხდება ეტაპობრივად. სარეაბილიტაციო სკოლების შერჩევისას გათვალისწინებულია სკოლის დირექციის და ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს მიერ პრიორიტეტულად განსაზღვრული სკოლები.

მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას.

პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შეპითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

ტელეფონი: +995 322 200 220,

ელ-ფოსტა: pr@mes.gov.ge,

ვებგვერდი: www.mes.gov.ge

მისამართი: დ. უზნაძის ქ., 52, 0102, თბილისი, საქართველო

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტოს

ცხელი ხაზი: +995 322 200 220 (2023),

ელ-ფოსტა: info@esida.ge,

ვებგვერდი: www.esida.ge

მისამართი: მ. ალექსიძის ქ., 1, შენობა-ნაგებობა #1, სართული 2,

0160, თბილისი, საქართველო

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ცხელი ხაზი: +995 322 473 333

ელ-ფოსტა: naec@naec.ge,

ვებგვერდი: www.naec.ge

მისამართი: ე. მინდელის ქ., 9, 0162, თბილისი, საქართველო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული

ცენტრი და მისი თბილისის, ქუთაისის და ბათუმის

მასწავლებლის სახლები

ცხელი ხაზი: +995 322 200 220 (4708); +995 322 200 220(4711)

ელ-ფოსტა: info@tpdc.ge

ვებგვერდი: www.tpdc.gov.ge

მისამართი: ე. მინდელის ქ., 9, 0162, თბილისი, საქართველო

ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს ცენტრებს

საკონტაქტო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<http://mes.gov.ge/content.php?id=207&lang=geo>



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა
დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას.
პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.



0+



0-6



6-18



18+



სათემო მომსახურება

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რა არის სათემო მომსახურება?

მომსახურება, რომელიც გულისხმობს ხანდაზმულებისა და 18 წლისა და უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნას, მათი დამოუკიდებლობის ხელშეწყობასა და სოციალურ ინტეგრაციას.

ვისთვის არის სათემო მომსახურება?

- 18 წლისა და უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ასევე მათი 18 წლამდე ასაკის შვილებისათვის, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს;
- ხანდაზმულებისათვის (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან).

რა შედის მომსახურებაში?

- საცხოვრებლით, ყოველდღიური მომსახურებითა და სამჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტო სადილი;
- საჭიროებისამებრ, პირველადი სამედიცინო დახმარების განწევა, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების ორგანიზება;
- ინდივიდუალური მომსახურების პროგრამის შედგენა და განხორციელება დამოუკიდებლობის ხარისხის ამალგების მიზნით;
- პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, ბენეფიციარების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და სურვილის გათვალისწინებით - ხელობის შეჩვენება, სწავლება და პრაქტიკული გამოცენების ხელშეწყობა;



- ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა;
- საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.

ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

საქართველოში სათემო მომსახურების მიმწოდებლად 2016 წლის მონაცემებით რეგისტრირებულია 22 ორგანიზაცია.

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები იხილეთ თანდართულ რუკაზე.

სათემო მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები

(2016 წლის მონაცემებით)



თბილისი

ა(ა)იპ „ხელი ხელს“

ავჭალა,
1 სამხედრო დასახლება, 45ა;
577559956, 577282866

ა(ა)იპ „ხელი ხელს“

მუხიანის სამხედრო დასახლების
მიმდებარე ტერიტორია ავჭალა 1
(2 სათემო სახლი);
577559956, 577282866

მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატი ჩემი ოჯახი

გლდანი-ნაძალადევის რაიონი,
გლდანის II მასივის ტერიტორია
(2 სათემო სახლი);
595410740

აია სოციალური დახმარების ცენტრი

სოფ. დილომი, ვ. გორგასლის ქ., 1;
599808499 2236201

ა(ა)იპ ბასილიადა

უშაკოვის, 1ა;
591337773

ბარბარე

სოფ. გლდანი,
ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქ.;
555513665

„სიკეთის სახლი“

სოფ. გლდანი;
555500143, 551154305



ყვარელი

საქველმოქმედო კავშირი
„თემი“

სოფ. გრემი;
599535712, 599927623

გურჯაანი

ა(ა)იპ „ხელი ხელს“

თაყაიშვილის ქ., 30;
577559956, 577282866

ა(ა)იპ „ხელი ხელს“

ახმეტელის ქ., 16;
577559956, 577282866

სიღნაღი

სიღნაღის რეგიონის
სოციალურად უმწეოთა
თერაპიის კავშირი

ქედელის დასახლება;
8(255)35082, 599 23 09 38

ა(ა)იპ „ბრონლიანის
სათნოების სახლი“

სოფ. საქობო;
599965570, 577478478, 0355236300

ა(ა)იპ თაობათა კერა

სოფ. ბოდბისხევი, 9 უბანი,
ბინა 15 (2 სათემო სახლი);
598170882 599370990

ა(ა)იპ „უზრუნველი სიბერე“

სოფ. ბოდბისხევი;
592487979, 557167577,
557007082, 597927072

ოზურგეთი

ახალგაზრდა პედაგოგთა
კავშირი

სოფ. ანასეული მეცნიერების ქ., 16;
593332317

ქარელი

ა(ა)იპ უფლის შენეწით

რუსთაველის ქ., 4;
557943857

წნორი

ბეთელი

აღმაშენებლის ქ., 65;
243680

ლაგოდეხი

არქიმედეს ხანდაზმულთა
პანსიონატი

ჯანელიძის ქ.;
577907002, 599989880

რუსთავი

კოლორიტი 19

შევეჩენკოს ქ., 5
(აკადემიური ქალაქი);
551730416, 597146146

მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას.

პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯამრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი, 144, თბილისი

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს


ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები

და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:

<http://ssa.gov.ge/>



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები
და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:
<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



ინკლუზიური პროფესიული და უმაღლესი განათლება (15 წლიდან)

განათლება



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ონ საზოგადოება საქართველო



რას გულისხმობს ინკლუზიური განათლება პროფესიული განათლების სისტემაში?

პროფესიული განათლება უზრუნველყოფს პირისათვის იმ ცოდნისა და უნარების გამომუშავებას, რომელსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია და ამზადებს პირს პროფესიული საქმიანობისათვის, ხელს უწყობს მის სოციალურ-პიროვნულ განვითარებასა და რეალიზებას. პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რაც მოიცავს თეორიულ სწავლებას და სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას.

პროფესიული განათლების მიზანია პირის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი კვალიფიცირებული კადრის მომზადება, მისი დასაქმების, მათ შორის საკუთარი ბიზნეს-საქმიანობის წამოწყების ან თვითდასაქმების ხელშეწყობა. გარდა ამისა, ფორმალური პროფესიული განათლების სისტემის მიზანია თანამშრომლობის გაძლიერება დამსაქმებელთან, რათა მოხდეს სტუდენტის სწავლიდან დასაქმებაზე გადასვლა.

ინკლუზიური განათლება არის ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, სადაც სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინდივიდის საგანმანათლებლო საჭიროება, მიუხედავად მისი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.

ვინ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი ?

პირი, რომელსაც აქვს გამოხატული სირთულეები სწავლის პროცესში, რომლებიც შესაძლებელია გამოწვეული იყოს ინტელექტუალური და განვითარების დარღვევით, სენსორული (სმენისა და მხედველობის) ან/და ქცევითი და ფსიქო-სოციალური საჭიროებით, და რომელიც საჭიროებს საგამოცდო და სასწავლო პირობების, პროცესის და გარემოს ცვლილებას/ადაპტაციას.



პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის მსურველი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტად დარეგისტრირებული პირის შეფასებას (აკადემიური და ფუნქციური უნარები, ქცევა-ემოცია და ინტერესები) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრას ახდენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდი (ფორმირებული ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრებისგან).

რატომ არის მნიშვნელოვანი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრა?

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან სტატუსის არსებობის შემთხვევაში, აპლიკანტი/სტუდენტი ხდება უფლებამოსილი ისარგებლოს საჭირო ინდივიდუალური მხარდაჭერით, როგორცაა სპეციალისტის მხარდაჭერა, ადაპტირებული სასწავლო მასალა/რესურსები, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგამოცდო, საგანმანათლებლო, ფიზიკური და სოციალური გარემო.

რა პროცედურის გავლაა საჭირო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხად?

ზოგიერთ პროფესიულ პროგრამაზე სწავლის დაწყება მხოლოდ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს შეუძლიათ, ზოგიერთ პროგრამაზე სწავლის დაწყება კი 9 (ცხრა) კლასის დასრულების შემდეგ საბაზო განათლების დამადასტურებელი ატესტატის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი. (საბაზო ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატების მიღების შესახებ ინფორმაცია იხილეთ, ბროშურაში „ინკლუზიური ზოგადი განათლება“).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირმა უნდა გაიაროს შემდეგი ეტაპები და შესაბამისი ნაბიჯები:

ნაბიჯი 1: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, პირი სარეგისტრაციო ცენტრში (პროფესიული საგანმანათლებლო დანესებულება, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი, საინფორმაციო ცენტრი) რეგისტრირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტად.

რეგისტრაციისას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი მიიღებს კონსულტაციას ყველა მისთვის საინტერესო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

სარეგისტრაციო ცენტრი ელექტრონულ ბაზაში აფიქსირებს აპლიკანტის ინფორმაციას - სახელსა და გვარს, პირად ნომერს, დაბადების თარიღს, ტელეფონის ნომერს, სასურველი საგამოცდო ქალაქის/მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობას, სასურველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არაუმეტეს სამისა) და ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის შესახებ.

ნაბიჯი 2: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტად დარეგისტრირების შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდი უკავშირდება მას და იგეგმება შეხვედრა შეფასების მიზნით. ექსპერტთა გუნდის მიერ ხდება აპლიკანტის ფუნქციური და აკადემიური უნარების შეფასება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების ან უარყოფის შესახებ დასკვნის მომზადება. თუ გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება არ დადასტურდა, აპლიკანტი პროფესიული განათლების სისტემაში ჩარიცხვის მიზნით აბარებს ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებას. პირს მხოლოდ გუნდის დადებითი დასკვნის საფუძველზე შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის განსაზღვრულ ტესტირებაში მონაწილეობა.

ნაბიჯი 3: აპლიკანტი რეგისტრაციიდან 4 დღის ვადაში წარადგენს საჭირო დოკუმენტაციას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დანესებულებაში, სადაც სურს პროფესიული განათლების მიღება (წარსადგენი დოკუმენტაცია იხილეთ ქვემოთ).



ნაბიჯი 4: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება აცნობებს ტესტირების ადგილსა და განრიგს და ატარებს ტესტირებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი გადის გამოცდაზე კომისიის წინაშე, რომლის წევრები არიან: პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი და სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირება მოიცავს მათ მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვას. აღნიშნული პროცესი განსხვავდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესისგან და წარმოადგენს ალტერნატიულ ფორმას მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის.

ალტერნატიული ფორმით პროფესიული ტესტირების ჩატარების შემდგომ, იმავე დღეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი, კომისიის წევრებთან განხილვის საფუძველზე, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, და ირჩევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელზეც სურს ჩარიცხვა.

ნაბიჯი 5: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მონაცემებს გადასცემს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალურად შექმნილ კომისიას, რომელიც მინისტრს წარუდგენს რეკომენდაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თაობაზე.

ნაბიჯი 6: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი მინისტრის ბრძანების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ახდენს მის ჩარიცხვას კოლეჯში და აფორმებს ხელშეკრულებას მასთან.



რა არის პროფესიული ტანტირების ალტერნატიული ფორმით გავლის მთავარი მიზანი?

ა) პროფესიული განათლების მიღების მსურველ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს მიეცეს შესაძლებლობა, საბოლოო არჩევანის გაკეთებამდე, პრაქტიკულად მოსინჯოს მისთვის საინტერესო, სასურველი ერთი, ორი ან სამი პროფესია და საკუთარი თავი ამ პროფესიის ამოცანის შესრულებისას. ამავე დროს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას პროფესიულ სასწავლებელში არსებულ სასწავლო გარემოზე, პროცესსა და პროგრამაზე;

ბ) თავად პროფესიული განათლების დანესებულების გუნდმა (პროფესიული საგანმანათლებლო დანესებულების მასწავლებლები, სპეციალისტები და სხვა) გაიცნოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, მომავალი სტუდენტი, რათა შესაბამისად, სასწავლო პროცესის დაწყებამდე მასთან ერთად დაგეგმოს და გაითვალისწინოს სასწავლო გარემოსა, თუ პროცესში საჭირო ადაპტირება.

რა ტიპის მხარდაჭერის მიღებაა შესაძლებელი პროფესიული ტანტირებისა და სწავლის პროცესში?

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლა-სწავლების სტილის, სასწავლო რესურსისა და მეთოდების მორგება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება (საჭიროების შემთხვევაში);
- პროფესიული ლიტერატურის დაბეჭდვა ბრაილის შრიფტით, ან გახმოვანება;
- პროფესიული საგანმანათლებლო დანესებულების მისაწვდომობა და ფიზიკური გარემოს ადაპტირება;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტის მომსახურება;



- მობილობისა და ორიენტაციის ტრენერების მომსახურება მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტებისათვის;
- ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურება სმენის დარღვევის მქონე სტუდენტებისათვის;
- ქცევის მართვის სპეციალისტის მომსახურება;
- სპეციალური ასისტენტების (ლაბორანტების) მომსახურება ინტელექტუალური და/ან მძიმე ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტებისათვის;
- ტრანსპორტირებით მომსახურება ინტელექტუალური და/ან მძიმე ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტებისათვის.

რა დოკუმენტაციის წარდგენაა საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მიერ დანახებულებაში, რომელშიც სურს სწავლა?

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- საბაზო (9 კლასი) ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი;
- ექსპერტთა გუნდის დასკვნა, რომლითაც დასტურდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის სპეციალური/დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროება, დამონმებული ექსპერტთა გუნდის მინიმუმ სამი წევრის ხელმოწერით;
- სმენის დარღვევის მქონე აპლიკანტის შემთხვევაში, - აუდიოგრაფია;
- მხედველობის დარღვევის მქონე აპლიკანტის შემთხვევაში, - ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა;
- ქცევით და ემოციური აშლილობის მქონე აპლიკანტის შემთხვევაში, - შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემული ცნობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის

შემთხვევაში), კერძოდ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა/ცნობა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის შესახებ გაცემული შესაბამისი სამედიცინო დანესებულების მიერ;

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობდა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა იყოს დამონებული გეგმაზე მომუშვე გუნდის წევრების და სკოლის დირექტორის ხელმოწერით.

რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აღწერს სტუდენტის ინტერესებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საგანმანათლებლო საჭიროებებსა და მიზნებს, მათი დაკმაყოფილებისა და მიღწევის გზებს და ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას და მოიაზრებს მის ადაპტაციას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ემსახურება იმ პროცესის ორგანიზებას და დოკუმენტირებას, თუ რა მხარდაჭერის საფუძველზე ეუფლება სტუდენტი არჩეული პროფესიის სავალდებულო მოთხოვნებს: რა სჭირდება მას განსხვავებული ამ პროცესში? რა რესურსების გამოძებნაა საჭირო? რა დამხმარე საშუალებებითა და მომსახურებით იქნება ის უზრუნველყოფილი? რა ვადებში და ვინ არის ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი და ა.შ. გეგმის მთავარი/გრძელვადიანი მიზანი პირის მიერ არჩეული პროფესიის მოთხოვნების დაკმაყოფილება, კვალიფიკაციის მიღება და დასაქმებაა, რაც შეიძლება დამატებითი მომსახურებით, დროის გახანგრძლივებით, ინდივიდუალური მუშაობით, სასწავლო მასალის ინდივიდისთვის მორგებით და ა.შ. გახდეს შესაძლებელი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში მონაწილეობს პროფესიული პროგრამის შესაბამისი კურსის მასწავლებელი,



კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი და სასწავლებელში არსებული ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი, თავად სტუდენტი და საჭიროების შემთხვევაში, სხვა სპეციალისტებიც.

რა არის ინკლუზიური პროფესიულ განათლებაზე მომუშავე აქსპერტთა გუნდის (ფორმირებადი ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრებისგან) ძირითადი ფუნქციები?

- განახორციელოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის მსურველი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის შეფასება (აკადემიური და ფუნქციური უნარები, ქცევა-ემოცია და ინტერესები) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრა;
- აწარმოოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება და ანალიზი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა (მათ შორის ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტებთან) კონსულტირება და რეკომენდაციების მიწოდება საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გარემოს ორგანიზება და სხვა);

რა არის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის ძირითადი ფუნქციები?

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი

- უშუალოდ ადევნებს თვალყურს და აქტიურად მართავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე



სტუდენტის ფუნქციონირებას და საჭირო მომსახურების უზრუნველყოფას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად აანალიზებს სტუდენტის დოკუმენტაციას სწავლის დაწყებამდე, იმისათვის, რომ სტუდენტის საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად დაიგეგმოს სასწავლო პროცესი;
- ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში, სასწავლო გარემოს მორგებაში და მასწავლებელთან ერთად მუშაობს სწავლების სტრატეგიებზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი

- გაკვეთილის/ლექციის პროცესში ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს ჩაერთოს მიმდინარე სასწავლო აქტივობებში;
- მხარს უჭერს სასწავლებლის შიგნით მის ადაპტაციასა და დამოუკიდებლად ფუნქციონირებას სწავლისა და დასვენების პროცესში
- ეხმარება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტსა და მასწავლებელს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაში;
- მონაწილეობს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში და აკონტროლებს უსაფრთხოების პირობებს.

რა არის პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი?

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული განათლების დიპლომი. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი სასწავლო შედეგებს სრულად ვერ



დაძლევს, მას კვალიფიკაცია არ მიენიჭება, თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ოფიციალურ ცნობას სტუდენტის მიერ დაგროვილი კომპეტენციების მითითებით.

რა არის უმაღლესი განათლება?

განათლება, რომელიც მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

რა პროცედურის გავლაა საჭირო უნივერსიტეტში ჩასარიცხად?

ბაკალავრიატზე და მაგისტრატურაზე სწავლის მსურველი რეგისტრაციას გაივლის ინტერნეტით.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე <http://www.naec.gov.ge>). ინტერნეტით რეგისტრაციისათვის მსურველს უნდა ჰქონდეს: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ელექტრონული ფოსტა და უნდა გადაიხადოს გამოცდაში მონაწილეობის საფასური - 50 ლარი.

ონლაინ რეგისტრაციის დროს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს შეუძლია შესაბამის ველში მიუთითოს სპეციალური პირობების საჭიროება, რომელიც რეგისტრაციის გავლის შემდგომ უნდა დაადასტუროს შეფასების და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ფორმა №IV-100/ა წარდგენით. მიწოდებულ ინფორმაციაზე დაფუძნებით, სპეციალურად შექმნილი კომისია იღებს გადაწყვეტილებას, ეკუთვნის, თუ არა პირს გამოცდის ადაპტირება.



როგორ აბარებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი ერთიან პროფესულ (ბაკალავრიატზე სასწავლოდ) და საერთო სამაგისტრო (მაგისტრატურაზე სასწავლოდ) გამოცდებს?

შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრი უზრუნველყოფს საგამოცდო მასალების ადაპტირებას და დამატებით დროს შემდეგი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის:

- 1) უსინათლო პირისათვის ბრაილის სისტემით გამოცდების ჩატარება: ამისათვის მან გამოცდაზე რეგისტრაციისას უნდა წარადგინოს შესაბამისი სამედიცინო ცნობა და მოითხოვოს ბრაილის სისტემით გამოცდის ჩაბარება. ვინაიდან ბრაილის შრიფტით მუშაობა საჭიროებს უფრო ხანგრძლივ დროს, მას მინიჭებული აქვს უფლება ისარგებლოს გაორმაგებული საგამოცდო დროით (მაგალითად, თუ გამოცდა არის ერთ საათიანი, მისი საგამოცდო დრო იქნება ორი საათი).
- 2) ფიზიკური, მეტყველების ან/და წერის განვითარების შეფერხების მქონე პირისათვის სპეციალური პირობების გათვალისწინებით გამოცდების ჩატარება: ამისათვის მან გამოცდაზე რეგისტრაციისას უნდა წარადგინოს შესაბამისი სამედიცინო ცნობა და მოითხოვოს სპეციალური პირობების შექმნა. წერის უნარის შეზღუდვის მქონე პირი ხმამაღლა კითხულობს დავალებას და დავალების პასუხს კარნახობს მისთვის სპეციალურად განსაზღვრულ პირს (მეთვალყურე, ხოლო უცხო ენის შემთხვევაში, შერჩეულ შესაბამის სპეცილისტს). აპლიკანტს შესაძლოა მიეცეს დადგენილ საგამოცდო დროზე მეტი დრო.
- 3) სმენის დაქვეითების მქონე პირისათვის დადგენილ საგამოცდო დროზე მეტი დროის მინიჭებით (კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში) გამოცდის ჩატარება: ამისათვის მან გამოცდაზე რეგისტრაციისას უნდა წარადგინოს შესაბამისი სამედიცინო ცნობა და მოითხოვოს სპეციალური პირობების შექმნა.



4) აპლიკანტისათვის, რომელსაც გამოცდა უტარდება არა კომპიუტერული, არამედ წერილობითი ფორმით, გამოცდის ჩატარება: ამისათვის მან გამოცდაზე რეგისტრაციისას უნდა წარადგინოს ფუნქციონალური დარღვევის შესაბამისი სამედიცინო ცნობა და მოითხოვოს სპეციალური პირობების შექმნა.

! **შენიშვნა:** ზემოთ აღნიშნული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები გამოცდას აბარებენ ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ სპეციალურად მათთვის მოწყობილ საგამოცდო სექტორში.

! **შენიშვნა:** 2016 წლის 7 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№310) სოციალური პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია სახელმწიფო სასწავლო გრანტი სტუდენტთა გარკვეული კატეგორიისათვის, მათ შორის, 30 სტუდენტი, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

როგორ ხდება საგანმანათლებლო გარემოს ადაპტირება და მისაწვდომობის უზრუნველყოფა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ვალდებულია, შეასრულოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობის სამუშაოები. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოს 16 საჯარო პროფესიული სასწავლებლიდან ადაპტირებული 11 და ადაპტაციის სამუშაოები ხორციელდება დანარჩენ 5-ზეც.

უმალლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უნივერსიტეტების) ადაპტირება და შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობის სამუშაოები უშუალოდ უნივერსიტეტების ადმინისტრაციის პასუხისმგებლობაა.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

ტელეფონი: +995 322 200 220,

ელ-ფოსტა: pr@mes.gov.ge,

ვებგვერდი: www.mes.gov.ge

მისამართი: დ. უზნაძის ქ., 52, 0102, თბილისი, საქართველო

**საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს**

ცხელი ხაზი: +995 322 200 220 (2023),

ელ-ფოსტა: info@esida.ge,

ვებგვერდი: www.esida.ge

მისამართი: მ. ალექსიძის ქ., 1, შენობა-ნაგებობა #1, სართული 2,
0160, თბილისი, საქართველო

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ცხელი ხაზი: +995 322 473 333

ელ-ფოსტა: naec@naec.ge,

ვებგვერდი: www.naec.ge

მისამართი: ე. მინდელის ქ., 9, 0162, თბილისი, საქართველო

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს

საკონტაქტო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<http://mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo>

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

საკონტაქტო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<http://mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo>

ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს ცენტრებს

საკონტაქტო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<http://mes.gov.ge/content.php?id=207&lang=geo>



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა
დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას.
პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.



0+



0-6



6-18



18+



დასაქმების ხელშეწყობა

(16 წლიდან)

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ოპენ სოციალური დაცვისათვის



დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა

რას გულისხმობს დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა?

ქვეყანაში მონყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის) დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარებასა და განხორციელებას, კერძოდ, სამუშაოს მაძიებელთა, დამსაქმებელთა, ვაკანსიების/პოზიციების აღრიცხვისა და შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის www.worknet.gov.ge განვითარებას, რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირებას და დამსაქმებელისა და სამუშაოს მაძიებელის დაკავშირებას.

რას სთავაზობს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა შიგნითა და გარეგანი მხარდაჭერის მიწოდებას და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს?

✓ მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტის მომსახურება

მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი არის პირი, რომელიც მხარდაჭერას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის დასაქმებას, დასაქმების ადგილზე ხელშეწყობას და სამუშაო ადგილის შენარჩუნებას.

მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტის ძირითადი ფუნქციებია:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სამუშაოს მაძიებლების მოძიება და მოზიდვა;
- სამუშაოს მაძიებლის პროფესიული პროფილის და დასაქმების სამოქმედო გეგმის შედგენა, რომელიც მოიცავს მისთვის სასურველ სამუშაოს, მის უნარ-ჩვევებს და მხარდაჭერის საჭიროებას;



- დასაქმებამდე მხარდაჭერა: კერძოდ, სამუშაოს მოძიების, სამუშაოს განაცხადისა და პირადი რეზიუმეს მომზადების პროცესში დახმარება, სამუშაოს მოსინჯვის ორგანიზება და დამსაქმებელთან რეკომენდაციის განწვევა;
- საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოს მაძიებლისათვის დამატებითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, ინდივიდუალური მომზადების/ტრენინგის მიწოდება, უშუალოდ დასაქმების ადგილზე;
- შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების შესახებ დამსაქმებელთა და პოტენციურ თანამშრომლებთან ინფორმირება და კონსულტირება.

✓ **დამსაქმებელთან შეთანხმებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირისათვის სამუშაო ადგილის სუბსიდირება (თანადაფინანსება)**

სამუშაო ადგილის სუბსიდირება გულისხმობს დამსაქმებლის მიერ გათვალისწინებული ანაზღაურების 50 %-ით ვაუჩერულ დაფინანსებას სახელმწიფოს მიერ. მაგალითად, თუ სამუშაოს ანაზღაურება 200 ლარია, სოციალური მომსახურების სააგენტო ახდენს აღნიშნული თანხის ნახევრის (200 ლარის 50%-ის, - 100 ლარის) ვაუჩერულ დაფინანსებას.



შენიშვნა: სახელმწიფოს მიერ თვიური ვაუჩერული დაფინანსების შესაძლო მაქსიმალური ოდენობაა 460 ლარი. მაგალითად, თუ სამუშაოს ანაზღაურება არის 920 ლარი, სახელმწიფო ახდენს აღნიშნული თანხის ნახევრის (460 ლარის) ვაუჩერულ დაფინანსებას, თუმცა თუ ანაზღაურება არის მაგალითად 950 ლარი, სახელმწიფო ახდენს მხოლოდ 460 ლარის ვაუჩერულ დაფინანსებას. დანარჩენ თანხას (490 ლარს) ავსებს დამსაქმებელი და ა.შ.

სუბსიდირების ვადა არის არა უმეტეს 4 თვე. სამუშაო ადგილის სუბსიდირების დასრულების შემდეგ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, თანამშრომლობის გაგრძელების შემთხვევაში, ანაზღაურება მოხდება სრულად დამსაქმებლის მიერ.

რა პროცედურების გავლაა საჭირო დასაქმების ხელშეწყობის პროგრამაში ჩასარათავად?

ნაბიჯი 1: სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი რეგისტრირდება საინფორმაციო სისტემაში www.worknet.gov.ge სამუშაოს მაძიებლად და უთითებს ინდივიდუალურ საჭიროებებს;

სოციალური მომსახურების სააგენტო შეიმუშავებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სამუშაოს მაძიებლის პროფესიულ პროფილს.

ნაბიჯი 2: სამუშაო ადგილ(ებ)ის მოძიება და ანალიზი

- ✓ სოციალური მომსახურების სააგენტო შეარჩევს დამსაქმებლებს, რომლებიც გამოხატავენ მზაობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების თაობაზე;
- ✓ დამსაქმებელი სოციალური მომსახურების სააგენტოს წარუდგენს სუბსიდირებისთვის განსაზღვრული ვაკანსიების/პოზიციების ჩამონათვალს;
- ✓ სოციალური მომსახურების სააგენტო ახდენს დამსაქმებლის მიერ წარდგენილი ვაკანსიის შესაბამისი სამუშაოს ანალიზს.

ნაბიჯი 3: სამუშაოს მაძიებლის/კანდიდატის შერჩევა

- ✓ სოციალური მომსახურების სააგენტო ადგენს საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სამუშაოს მაძიებლის უნარ-ჩვევების არსებულ ვაკანსიასთან შესაბამისობას;
- ✓ სოციალური მომსახურების სააგენტო არჩევს საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სამუშაოს მაძიებლს და წარუდგენს მას დამსაქმებელს.
- ✓ დამსაქმებელი იღებს გადანყვეტილებას სამუშაოს მაძიებლის სამსახურში აყვანის თაობაზე.



ნაბიჯი 4: დოკუმენტაციის წარდგენა

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სამუშაო მაძიებელი სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელზე წერს განაცხადს და წარადგენს საჭირო დოკუმენტაციას სამუშაო ადგილზე სუბსიდირების მოსარგებლედ დარეგისტრირების მოთხოვნის მიზნით (ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ);
- ✓ დამსაქმებელი რეგისტრირდება აღნიშნული პროგრამის მომსახურების მიმწოდებლად და წარადგენს განაცხადსა და საჭირო დოკუმენტაციას სოციალური მომსახურების სააგენტოში (ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ).

ნაბიჯი 5: ხელშეკრულების გაფორმება

- ✓ სამუშაო ადგილის სუბსიდირებისათვის, დამსაქმებელსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის ფორმდება ხელშეკრულა;
- ✓ ხელშეკრულება ფორმდება დამსაქმებელსა და სამუშაო მაძიებელს შორისაც.

ნაბიჯი 6: სამუშაო ადგილის სუბსიდირება

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი დამსაქმებელთან ვაუჩერს წარადგენს ყოველი თვის 15 რიცხვამდე;
- ✓ დამსაქმებელი ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებულ ვაუჩერს აგზავნის სააგენტოში სუბსიდირების მიღების მიზნით (ყოველი თვის 20 რიცხვამდე).

! შენიშვნა: აღნიშნული ვადების დარღვევით წარდგენილი ვაუჩერი არ ანაზღაურდება.

რა დოკუმენტაციის წარდგენაა საჭირო დასაქმების ხელშეწყობის პროგრამაში ჩასართავად?

დამსაქმებელმა სოციალური მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- ✓ ორგანიზაციის ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ✓ ორგანიზაციის წარმომადგენლის (დირექტორი, ხელმძღვანელი) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ სუბსიდირებისთვის განსაზღვრული ვაკანსიების/პოზიციების ჩამონათვალი;
- ✓ „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტის მიმწოდებლად რეგისტრირების მსურველი პირის განაცხადი;

სამუშაოს მაძიებელმა უნდა წარადგინოს:

- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ (საშუალო ან პროფესიული ან უმაღლესი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატის, ან დიპლომის) ასლი;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული დასკვნის ასლი;
- ✓ „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტის მოსარგებლედ რეგისტრირების მსურველი სამუშაო მაძიებლის განაცხადი.



სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა

რას გულისხმობს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა?

შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებლად რეგისტრირებული პირის მიერ

- ✓ რეალურ სამუშაო გარემოში სტაჟირების გავლას. კერძოდ, დამსაქმებლებთან შეთანხმებით ვაკანტურ ან/და პერსპექტიულ სამუშაო ადგილზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სწავლებას შემდგომი დასაქმების მიზნით მაქსიმუმ 4 თვის განმავლობაში, ან/და
- ✓ მოკლევადიან პროფესიულ მომზადება-გადამზადებას. კერძოდ, პროფესიული კოლეჯის მიერ მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის გავლას 2-დან 4 თვემდე პერიოდით.

პროგრამა განკუთვნილია 16 წლის ზემოთ პირებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობისა და საგანმანათლებლო საჭიროებისმქონე პირებისათვის, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში. სისტემაში დარეგისტრირება შესაძლებელია ბმულზე - www.worknet.gov.ge.

რა არის საჭირო მომსახურების მისაღებად?

რეგისტრაცია:

- ✓ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში სამუშაოს მაძიებლებლად რეგისტრაცია;
- ✓ პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მისაღებად სამუშაოს მაძიებელის პირადად გამოცხადება სააგენტოს



შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში და რეგისტრაციის გავლა.

დოკუმენტების წარდგენა:

- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შემთხვევაში, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა;

! შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული დასკვნებიდან ერთ-ერთის წარდგენის შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს პროგრამით სარგებლობა შეუძლია, იმისდა მიუხედავად, აქვს, თუ არა საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი (9 კლასის ატესტატი).

- ✓ პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, - დიპლომი, ან ოფიციალური ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

რას სთავაზობს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს?

მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სურვილის შემთხვევაში, სოციალური მომსახურების სააგენტო:

- ✓ სამუშაოს მაძიებლად რეგისტრირებულ პირს აკავშირებს პროფესიულ კოლეჯთან და ეხმარება მოკლევადიანი პროფესიული პროგრამის არჩევაში;



- ✓ პროფესიული კოლეჯების საბოლოო, დადებითი გადანყვეტილების საფუძველზე აფორმებს შეთანხმებას სამუშაოს მაძიებლად რეგისტრირებულ პირთან;
- ✓ გადასცემს მას ვაუჩერს, რაც არის მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების დაფინანსების საშუალება. ვაუჩერის მაქსიმალური ღირებულებაა 1000 ლარი.

სტაჟირების გავლის სურვილის შემთხვევაში სოციალური მომსახურების სააგენტო:

- ✓ სამუშაოს მაძიებლად რეგისტრირებულ პირს აკავშირებს დამსაქმებელთან და ეხმარება სტაჟირების დაწყებაში ვაკანტურ ან/და პერსპექტიულ სამუშაო ადგილზე.
- ✓ დამსაქმებლის დადებითი გადანყვეტილების საფუძველზე აფორმებს შეთანხმებას სამუშაოს მაძიებლად რეგისტრირებულ პირთან;
- ✓ გადასცემს მას საგზურს და სახელმწიფო სტიპენდიას. სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობა არის თვეში 150 ლარი. სტაჟირების მაქსიმალური ხანგრძლივობა 4 თვე.

რა არის საჭირო მომსახურების მისაღებად?

რეგისტრაცია:

- ✓ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაცია;
- ✓ პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მისაღებად სამუშაოს მაძიებელის პირადად გამოცხადება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში და რეგისტრაციის გავლა.

დოკუმენტების წარდგენა:


- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა;

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების შემთხვევაში, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა;

! **შენიშვნა:** ზემოთ აღნიშნული დასკვნებიდან ერთ-ერთის წარდგენის შემთხვევაში, სპეციალური საჭიროების მქონე და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს პროგრამით სარგებლობა შეუძლია, იმისდა მიუხედავად, აქვს, თუ არა საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი (9 კლასის ატესტატი).

- ✓ პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, - დიპლომი, ან ოფიციალური ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები
და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:
<http://ssa.gov.ge/>



0+



0-6



6-18



18+



ომის მონაწილეთა რეაბილიტაცია

სოციალური დაცვა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ონ საზოგადოება საქართველო



რა არის ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის პროგრამა?

მომსახურება, რომელიც მოიცავს სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო ღონისძიებებს.

ვისთვის არის ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის პროგრამა?

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან ხანდაზმული ომის მონაწილე ქალებისთვის 60 წლის ასაკიდან;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან ხანდაზმული ომის მონაწილე კაცებისთვის 65 წლის ასაკიდან.

რა შედის მომსახურებაში?

- ექიმ-სპეციალისტთან კონსულტაცია;
- ფიზიოთერაპიული და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების ჩატარება;
- ბალნეოლოგიური პროცედურების ჩატარება;
- სამკურნალო ფიზკულტურისა და მანუალური თერაპიის პროცედურების ჩატარება.

! შენიშვნა: ერთ პირზე გათვალისწინებულია არა უმეტეს ერთი ინდივიდუალური კურსის ღირებულების დაფინანსება.

რა არის საჭირო მომსახურების მისაღებად?

ვაუჩერის ტალონების მიღება, რაც წარმოადგენს მომსახურების დაფინანსების საშუალებას.

რა ნაბიჯების გავლაა საჭირო ვაუჩერის ტალონების მისაღებად?

ნაბიჯი 1: განაცხადის წარდგენა

პროგრამის მიმღები პირი მომსახურების მიმწოდებელთან წარადგენს:

- განაცხადებას;
- პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლს;



- სააგენტოს მიერ გაცემულ ცნობას, რომ მიმდინარე წელს არ უსარგებლია ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ომის მონაწილის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან ცნობას.

! **შენიშვნა:** მომსახურების მისაღებად პირი რეგისტრირებული უნდა იყოს ვეტერანების საქმეთა სახელმძიფო სამსახურის საინფორმაციო ბაზაში.

ნაბიჯი 2: განაცხადის განხილვა

მომსახურების მიმწოდებელი იღებს გადაწყვეტილებას პირის ქვეპროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.

ნაბიჯი 3: ვაუჩერის ტალონების მიღება

- სააგენტოს მიერ გაიცემა ვაუჩერის ტალონები ერთი წლის ვადით.
- ანაზღაურება ხორციელდება არაუმეტეს 250 ლარის ოდენობით.

ვინ არის მომსახურების მიმწოდებელი?

საქართველოში ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულია 2 ორგანიზაცია:

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი „თბილისი - spa“

ჯანმრთელობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, გორგასალის ქ., 9

ტელეფონი: 0322722551; E-mail: balneologiuricenter@gmail.com

შპს ფირმა „ოქროს ველი“

მისამართი: ქ. გურჯაანი, თამარ მეფის ქ., 5

ტელეფონი: 593301608; E-mail: ltd_oqrosveli@mail.ru



მოცემულ ბროშურაში მომსახურების აღწერა დაფუძნებულია 2016 წლის სახელმწიფო პროგრამას. პროგრამები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად.

შპკითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს**

ცხელი ხაზი: **1505**

ტელეფონი: +995 322 510 011

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 144

ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge

ვებ. გვერდი: <http://www.moh.gov.ge>

სოციალური მომსახურების სააგენტოს

ცხელი ხაზი: **1505**

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულების მისამართები
და საკონტაქტო ტელეფონები იხილეთ ვებგვერდი:
<http://ssa.gov.ge/>



ადგილობრივი თვითმმართველობების პროგრამები



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

№	დასახელება	თვითმმართველი ქალაქები / კონტაქტი	პროგრამები
1.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი	<p>ქ. თბილისის მერია: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, 0160, 0322 722222, info@tbilisi.gov.ge;</p> <p>ქ. თბილისის საკრებულო: ქ. თბილისი, თავისუფლების № 2, 0114, 0322 159292, ცხელი ხაზი-0322 159393, info@tbsakrebulo.gov.ge.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პანდუსების, სპეციალური ამწეების და ლიფტების მონტაჟი; 2. ორთოპედიული დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპიის ქვეპროგრამა; 3. ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება; 4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია და თბილისში რეგისტრირებული ბავშვებისათვის საზაფხულო კულტურულ-გამაჯანსაზღებელი ბანაკების მოწყობა; 5. ყრუ პირთა თარჯიმან-დაქტილოლოგის მომსახურებით უზრუნველყოფა; 6. სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მატერიალური დახმარება; 7. სოციალურად დაუცველი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების მატერიალური დახმარება; 8. შინმოვლის დაფინანსება; 9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებში ჩართვის გზით; 10. სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა;

№	დასახელება	თვითმმართველი ქალაქები / კონტაქტი	პროგრამები
			<ul style="list-style-type: none"> 11. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა სკოლაში მისვლის უზრუნველყოფის მიზნით; 12. პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა; 13. ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა;
2.	ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტი	<p>ქ. ახალციხის მერია: ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. №2, 0800; 365 22 08 08; akhaltikhemia@gmail.com;</p> <p>ქ. ახალციხის საკრებულო: ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. №2, 0800; 365 22 15 52, qalaqakhaltikhis sakrebulo@gmail.com.</p>	<ul style="list-style-type: none"> 1. მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობის არმქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კომუნალური გადასახადების დაფარვა თვეში 25 ლარის ოდენობით; 2. მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობის არმქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საახალწლოდ ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით; 3. მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადად 300 ლარით დახმარება; 4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მებრძოლი მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კომუნალური მომსახურების დაფარვა თვეში 25 ლარით; 5. ააიპ სტატუსის მქონე, სამუსიკო, სამხატვრო სკოლებში დანესებული გადასახადის 100%-იანი შეღავათი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შვილებისთვის.

№	დასახელება	თვითმმართველი ქალაქები / კონტაქტი	პროგრამები
3.	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	<p>ქ. ბათუმის მერია: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. № 5, 6010, 0422 27 26 06, info@batumi.ge;</p> <p>ქ. ბათუმის საკრებულო: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. № 5, 6010, 0422 27 90 01, sakrebulo@batumicc.ge.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ახალგაზრდულ ცენტრებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა; 2. ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა; 3. ფსიქიური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა ფსიქო სოციალური რეაბილიტაცია; 4. მონყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება; 5. შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია; 6. ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია; 7. ეპილევსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; 8. მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; 9. 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის მატერიალური დახმარება; 10. 18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულთა მატერიალური დახმარება; 11. პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

№	დასახელება	თვითმმართველი ქალაქები / კონტაქტი	პროგრამები
			<p>12. მონყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;</p> <p>13. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით დაფინანსება;</p> <p>14. ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება ბინაზე მომსახურება მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ;</p>
4.	ქ. გორის მუნიციპალიტეტი	ქ. გორის მერია და საკრებულო: ქ. გორი, სტალინის გამზირი №16, 1400, 0370 275196, info@gori.gov.ge;	<p>1. მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოსატყული მხედველობის არ მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება 250 ლარის ოდენობით;</p> <p>2. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების დახმარება 200 ლარის ოდენობით;</p> <p>3. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება 150 ლარის ოდენობით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისათვის – 26 მაისისათვის;</p>

№	დასახელება	თვითმმართველი ქალაქები / კონტაქტი	პროგრამები
			<p>4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება გადაუდებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით საქონლის გადაცემის ფორმით ან ფულადი დახმარებით არა უმეტეს 100 ლარის ოდენობით შემდეგ პირველად საჭიროებაზე: საკვები, პირადი მომსახურების ნივთები, პიგიენის საშუალებები, საყოფაცხოვრებო ნივთები;</p>
5.	<p>ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი</p>	<p>ქ. ზუგდიდის მერია: ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №45, 2100, 0415 251530, ცხელი ხაზი-591445312, zugdidi.meria@gmail.com;</p> <p>ქ. ზუგდიდის საკრებულო: ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №45, 2100, 591441051, zugdidissakrebulo2014@gmail.com.</p>	<p>1. სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამა-საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციისა და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება;</p> <p>2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია:</p> <p>2.1. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სმენადაქვეითებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადად 200 ლარის დახმარება;</p> <p>2.2. მკვეთრად გამოხატული სტატუსის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სმენადაქვეითებულ პირებზე ერთჯერადი 200 ლარის დახმარება;</p> <p>2.3. მოვლის საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური დაფინანსება 100 ლარის ოდენობით;</p>

№	დასახელება	თვითმმართველი ქალაქები / კონტაქტი	პროგრამები
			3. აუტისტური სპექტრის მქონე, დაუნის სინდრომისა და ბავშვთა ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების დაფინანსება წელიწადში ერთხელ 1000 ლარის ოდენობით.
6.	ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტი	ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. № 7, 3300, 0322 512170, info@mtskheta.gov.ge; citymtskhetamunicipality@mtskheta.gov.ge.	1. დღის ცენტრის აღსაზრდელების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
7.	ქ. თელავის მუნიციპალიტეტი	ქ. თელავის მერია: ქ. თელავი, ერეკლე II გამზირი №16, 2200, 0350 272300, telavi.meria@gmail.com; telavicityhall@gmail.com; ქ. თელავის საკრებულო: ქ. თელავი, ერეკლე II გამზირი №16, 2200, 0350 273900, telavi.assembly@gmail.com.	1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა; 2. კომუნალურ გადასახადებზე დახმარების პროგრამა-მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადის დაფინანსება; 3. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები-საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ერთჯერადი ფულადი ან სხვა სახით საჩუქრების გადაცემა;

№	დასახელება	თვითმმართველი ქალაქები / კონტაქტი	პროგრამები
8.	ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, 0496 274740;	<ol style="list-style-type: none"> 1. უსინათლოთა (მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის სტატუსის მქონე) ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; 2. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა-სოციალური დახმარება 200 ლარის ოდენობით; 3. სუბსიდირება საქველმოქმედო ასოციაცია „გურიის“ დღის ცენტრში 18 წელს გადაცილებულ ბენეფიციართა მომსახურების დასაფინანსებლად;
9.	ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	<p>ქ. ამბროლაურის მერია: ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. №11, 0439 221937, info@ambrolauri.gov.ge; 7</p> <p>ქ. ამბროლაურის საკრებულო: 595720492, chichinadze.e@ambrolari.gov.ge.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომლებიც საჭიროებენ მომვლელს, ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება; 2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფინანსური დახმარება: <ol style="list-style-type: none"> 2.1. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს თვეში 100 ლარის ოდენობით; 2.2. პირს, რომელიც ვერ ახერხებს დამოუკიდებლად გადაადგილებას (ცერებრალური დამბლა, დაუნის სინდრომი, ტეტრაპლეგია, ჰემიპლეგია, პარაპლეგია, მყარი ნარჩენი მოვლენები მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზით), თვეში 100 ლარის ოდენობით; 2.3. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებს, თვეში 100 ლარის ოდენობით.

№	დასახელება	თვითმმართველი ქალაქები / კონტაქტი	პროგრამები
10.	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი	ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20, 3700, 341 224737/220005, municipality@rustaci.gov.ge ;	<ol style="list-style-type: none"> 1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა-ფინანსდება ააიპ – „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“, სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 125-მდე ბენეფიციარი; 2. მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა; 3. შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათები (150-ზე მეტი ბენეფიციარი); 4. მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება- მედიკამენტებით დახმარება თითოეულზე არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით; 5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება-სტატუსით უსინათლო ბენეფიციარების (145 ბენეფიციარი) კომუნალური ხარჯების დაფარვა (დენი 240 ლარის ფარგლებში და გაზი 240 ლარის ფარგლებში წლიურად); 6. აუტისტური სპექტრის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა (80 ბენეფიციარი) რეაბილიტაციის კურსი წელიწადში ერთჯერადად 600 ლარის ოდენობით;

№	დასახელება	თვითმმართველი ქალაქები / კონტაქტი	პროგრამები
11.	ქ. ფოთის ქ. მუნიციპალიტეტი	ქ. ფოთი, ამაღმენებლის ქ. №12, 4400, 0493 221295, poti.info@gmail.com;	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა; 2. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ქალაქგარეთ ტრანსპორტირება; 3. უსინათლოების მატერიალური დახმარება-უსინათლო პენსიონერთათვის ყოველთვიურად 30 ლარიანი პაკეტი კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად; 4. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები-შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები 17 წლამდე ასაკის მოზარდები (სულ 95 ბავშვი, მათ შორის: 22 ვაჟი და 73 გოგო) – 100 ლარი წელიწადში ორჯერ; 5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის“ დაფინანსება; 6. კვალიფიციური სამედიცინო და სოციალური მომსახურების მიწოდება საცხოვრებელ ადგილზე იმ პირთათვის, რომლებიც საკუთარ თავს ვერ უვლიან.
12.	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი	ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3, 0431 242651, contact@kutaisi.gov.ge;	<ol style="list-style-type: none"> 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება- „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე ბავშვები;

№	დასახელება	თვითმმართველი ქალაქები / კონტაქტი	პროგრამები
			<ol style="list-style-type: none"> 2. ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, მათთვის უმთავრესი საჭიროების მქონე ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ, ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი ხელსახოცებით დახმარება; 3. უფასო მგზავრობა.
13.	<p>აბაშის მუნიციპალიტეტი</p>	<p>ქ. აბაშა, ტროფი დარასელიას ქ. №1, 0200, მოქალაქეთა მისაღები-0421 291808, ცხელი ხაზი: 599855825, gamgeobaabasha@yahoo.com.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დახმარება-შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ოჯახისათვის მატერიალური დახმარების განევა (თითოეულზე 200 ლარის ოდენობით, სულ 50 ბენეფიციარი); 2. ყრუ-მუნჯი პირების დახმარება-მატერიალური დახმარების განევა (თითოეულზე 200 ლარის ოდენობით, სულ 20 ბენეფიციარი); 3. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება-თითოეულზე 200 ლარის ოდენობით (სულ 170 ბენეფიციარი);
14.	<p>ადიგენის მუნიციპალიტეტი</p>	<p>დაბა ადიგენი, თამარ მეფის ქ. №5, 0366291261, adigenigamgeoba@gmail.com.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სოფელ არალის უნარშეზღუდულ და მენტალობადაქვეითებულ ბავშვთა საინტეგრაციო ცენტრის დაფინანსება.

№	დასახელება	თვითმმართველი ქალაქები / კონტაქტი	პროგრამები
